№ 4 ფასი 5 კაპ.



ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქვირა, 7 ოქტომბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ცისკარი“

გამოდის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, ქვირაში ერთხელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის ადრესი: *Кутаисъ, редакція „Цискари“.*

შინაარსი:

რევოლიუცია და გრაფი ტოლსტოი, უ—ლის.—შენიშვნები, ყარიბისა.—ციმბირში მიმავალი, ლექსი ვ. ჩახრუხაძის.—სხვადასხვა ამბები.—სახალხო შკოლა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვ. ობჩელის.—მოღვაწეთა მოღვაწეობა, წელკავის.—დედ-მამა, თარხანის.—ეშმაკის წერილი.—არჩევნები ბათუმში, ზევარიკეს.—სოფლის ამბები, დემონისა.—წერილი რედაქციის მიმართ.

ივანე დავითის-ძე ქილაძე და პელაგო ჭეიშვილის ასული აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს, რომ მათი უსაყვარლესი ასულის

ქეთოს

მოსაგონებლათ დანიშნულია წლის პანაშვიდი ქუთაისის სასაფლაოს მთავარ-ანგელოსის ეკლესიაზე ამა ოკტომბრის ცხრა რიცხვს, დღით სამშაბათს, შუადღის 12 ს.

ვამზადებ

ორივე სქესის პირთ, მამაკაცებს ⚥ ქალებს,

ბუჰგალტერებათ

(ანგარიშის მწარმოებლებათ.)

სამეცადინო საგნები:

1) სარგებლის გამოანგარიშება.
2) ბუჰგალტერია (უბრალო, ორფა (двойная), და გაადვილებული.)
3) სჩოტზე სწრაფი ანგარიში.
4) წმინდა და ჩქარი წერა.
5) კომერციული კორესპოდენცია.

მეცადინეობა სადამოობით $6^1/_2$-დან $9^1/_2$ საათამდე.

ადრესი დაწვრილებითი პირობების გასაცნობათ მოიკითხეთ **მ. ლაღიძის და ამხ. ბუფეტში.**

რევოლიუცია და გრაფი ტოლსტოი.

აგერ სამი წელიწადია, რაც რუსეთი სისხლის მორევში ცურავს, რევოლიუციის ტალღები ერთი მეორეს ასკდება, ერთი მხრით ხალხი თავისუფლებისაკენ მიიწევს, მეორე მხრით უკანასკნელ ზომებს ხმარობენ ბატონობის შესარჩენათ: ადმინისტრატიული რეპრესიები, სატუსალოები, ცივი ქვეყნები, სახრჩობელა, ტყვიით გულის გაგმირვა, მთელი სოფლების აკლება, არც მოხუცის, არც ჭაბუკის, არც კაცის, არც ქალის შებრალება, —აი უკანასკნელი ზომები. ბევრი ახალგაზდა ისხვერპლა აბობოქრებულმა რევოლიუციონურმა ზვირთებმა, ბევრმა შესწირა თავი ხალხის თავისუფლებას, არა ერთი ხალხის მტერი, მოღალატე გამოესალმა წუთისოფელს. რუსეთში თითქო დაავიწყდათ მეექვსე მცნება: „არა კაც კლა“.

აი ამ დროს ხმას იმაღლებს გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი, როგორც მორალისტი, და მოაგონებს ყველას, როგორც მთავრობას, ისე რევოლიუციონერებს, არ ახალს, ძველს, ყველა რელიგიოზურ – ზნეობრივ სისტემების შემქმნელთ-მიერ გამოთქმულ, მცნებას: „არა

კაც კლა“-ო. დიახ, კაცის მოკვლა, წართმევა ადამიანისათვის იმისი, რაც ყველაზე და ყველაფერზე უძვირფასესია და იმავე დროს ხელმეორეთ მოუპოვებელი—სიცოცხლის, ვის არ აამჯოთებს: ვინ არ შეუერთდება ტოლსტოის და მასთან ერთათ არ იტყვის: დაეკითხეთ თქვენს სინიდისს, ჩაუკვირდით თქვენს ბუნებას, გონებას, შესწყვიტეთ სისხლის ღვრა, კმარა... თუ თქვენი სინიდისი, გონება, ბუნება დახშულია, მაშინ მოიგონეთ მეექვსე მცნება: „არა კაც კლა“. მაგრამ ვის მივმართოთ ასეთი მოწოდებით?—მთავრობასაც და რევოლიუციონერებსაც, ამბობს ტოლსტოი. როგორ ცთება ტოლსტოი და როგორ შევცთებით ჩვენც, რომ ასეთ გზას დავადგეთ! ნუ თუ ჩვენთვის დღესავით ნათელი არ არის, რომ ასეთი მოწოდება, მთავრობისადმი მიმართული, დარჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მაშინ, როდესაც ბიუროკრატია ერთათ-ერთ შველას ბატონობის შესარჩენათ სისხლის ღვრაში ხედავს, ნუ თუ ამ დროს მასთან ამ კილოზე საუბარი რაიმე ნაყოფს გამოიღებს? ნუ თუ ეს ჩვენი ზნეობრივი სიღატაკის, ჩვენი დამარცხების, ჩვენი უიმედო მდგომარეობის ნიშანი არ იქნება? არა, რევოლიუციონურმა ხალხმა, დარწმუნებულმა, რომ მას ადამიანის და მოქალაქის უფლებები წართმეული აქვს, ფიზიკურ ძალას ზნეობრივი ძალით უნდა წინააღუდგეს, რადგან კვდება პიროვნება და არა იდეა, აზრი, აუცილებელი ისტორიული პირობებით გამოწვეული და მომწიფებული,

თუ ტოლსტოის ნამდვილი, ხალხისთვის მებრძოლი რევოლიუციონერები ყავს სახეში, საშინლათ ცდება პატივცემული მწერალი. „ჩვენ რევოლიუციონერები ვართ“,—სთქვა ვ. ლიბკნეხტმა 1867 წელს,—მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა, რომელშიაც და რომლისათვისაც ჩვენ ვმოქმედებთ, მხოლოთ მაშინ იქნება ძალდატანებითი და გამოიწვევს სისხლის ღვრას, როდესაც ამას ჩვენი მოწინააღმდეგები მოისურვებენ, ე. ი. მთავრობა და ბურჟუაზიაო... არც ერთი რევოლიუცია არ ყოფილა თავდამსხმელი, შეტევებითი. ყველა მოგერებას, თავის დაცვას ემსახურებოდაო... რევოლიუციონერები ცთილობდენ ცხოვრების ახალი შინაარსისთვის ახალი ფორმები შეესხათ, მთავრობა კი ცთილობდა ხელი შეეშალა კაცობრიობის წინსვლისათვის. მდინარე წყნარათ მიდის, სანამ რაიმე არ გადაეღობება გზაზე; გადმოდის კალაპოტიდან, წალეკს არე-მარეს, ან ჩანჩქარათ იქცევა და გაჯავრებული ასკდება კლდეს, თუ მის მიმდინარეობას წინ რამე გადაეღობა. ასეთია მსოფლიო ისტორია“. დიახ, რუსეთშიაც ასეთი მდგომარეობაა დღეს: სისხლის ღვრას რევოლიუციონერები კი არა, მოწინააღმდეგე მხარე იწვევს; რევოლიუციონური ხალხი-კი თავის თავს იცავს: გორდიის ნასკვი კბილის ქაჩვით არ გაიხსნება, ის უნდა გაიჭრას, ხალხს თავისუფლება უნდა მიეცეს, რადგან ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება შეუძლებელია. აი რა ამოსპობს სისხლის ღვრას. მაშ, სისხლის ღვრის მიზეზი ის არის, ვინც წინ ეღობება ისტორიულ პროცესს, და არა რევოლიუციონერები.

წინააღმდეგათ აზროვნობს ის, ვინც ფიქრობს, რომ რევოლიუცია თვით რევოლიუციონერების შექნილია, და არა ღრმა თანამედროვე ისტორიული პირობების შედეგია. დღეს მთავრობაც იძულებული ხდება ცოტათ თუ ბევრათ ანგარიში გაუწიოს ამ ისტორიულ პირობებს, ნახევარი ზომებით აუხვიოს თვალი მშრომელ ხალხს და რევოლიუცია შეაჩეროს. ლ. ნ. ტოლსტოი კი ასეთი ზომებისაც წინააღმდეგია; ის მთლათ უარყოფს თანამედროვე გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც, მისი სიტყვით, მხოლოთ ეგოისტური და პირუტყვულია და არა ხალხის საკეთილდღეო: „ამ პირების უმრავლესობა, რომლებიც ახლა მოქმედებენ რუსეთში ვითომდა მის საკეთილდღეოთ, მოქმედებენ თავიანთი ეგოისტური და პირუტყვული მისწრაფების გავლენითო“. რომ პურიშკევიჩებს, დუბროვინებს და ძმათა მათთა ხალხის კეთილდღეობა კი არ აინტერესებთ, არამედ მათი საკუთარი მდგომარეობის გამტკიცება და კეთილდღეობა—ამაში ეჭვი არავისა ქონია და ტოლსტოიც მართალია, მაგრამ კრუშევანების, პურიშკევიჩების და რუსეთში მომქმედ რევოლიუციონურ პარტიების ერთი მეორეში არევა უსუსურობაა, დაბრმავებაა, ისტორიის და სამართლიანობის უარყოფაა, უსაშინლესი ცილისწამებაა იმ წამებულთა, ვისი სისხლითაც მორწყულია რუსეთის მიდვრები და მისი ძვლებით და ხორცით გამძლარია რუსეთის მხეცები. დიდებულმა რუსეთის მწერალმა რეაქციონერებსაც გადააჭარბა: მემარჯვენეები კიცხავდენ და კიცხავენ რევოლიუციო-

ნერების მოქმედებას, მაგრამ მათი მოლვაწეობის უანგარობა, მაღალ-ზნეობრივი მოტივები იძულებულნი არიან აღიარონ.

რუსეთის დიდებული მწერლის ასეთი მსჯელობა, მთელი თანამედროვე გამათავისუფლებელი მოძრაობის უარყოფა, ერთხელ კიდევ ნათლათ ამტკიცებს, რომ ხშირათ ხალხის სიამაყე, დიდებული მწერალი და პოეტი სუსტია, ვითარცა საზოგადო მოაზრე.

და თუ ტოლსტოის ეგრეთ წოდებული „ექსპროპრიატორები“ ყავს სახეში, ამ ჯურის ხალხთან ქადაგება მეტია. მოსპეთ ის პიროვნები, რომლებმაც წარმოშობა ეს რევოლიუციის სახელის გამტეხი ნაძირალები და „ექსპროპრიაცია“ რუსეთშიაც ისეთი იშვიათი მოვლენა შეიქნება, როგორც ეს სხვა თავისუფალ ქვეყნებშია.

უ—ლი.

შენიშვნები.

I.

ერთ თვეზე მეტმა დრომ გაიარა ილ. ჭავჭავაძის ველური მკვლელობის შემდეგ. ეს დრო სრულიათ საკმაოა, რომ ამ საზიზღარი მკვლელობით აფორიაქებული ნერვები საზოგადოებისა დაწყნარებულიყო და აღელვებულ გრძნობას გონებისათვის დაეთმო ალაგი.

ამიტომ ნაადრევათ არ მიგვაჩნია ამ საგანზე მცირე შენიშვნები ჩვენც გავუზიაროთ მკითხველებს. ამას ის გარემოება უფრო გვაბედვიებს, რომ ჩვენ აქ აზრათ არა გვაქვს ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და თხზულებათა გარჩევა. ჩვენი მიზანი მხოლოთ ის არის, რომ ცოტაოდენი ანგარიში მაინც გავუწიოთ იმ აურ-ზაურს, რომელიც განსვენებული პოეტის კუბოსთან ასტეხეს მისი დიდი ნიჭის ვითომდა თაყვანის მცემლებმა.

ილ. ჭავჭავაძის კუბოს გარშემო ნასმენ-ნახულმა მომაგონა ის ზღაპრული ბუზი, რომელიც მუშაობისგან დაღლილ-დაქანცულ ხარს რქაზე დასკუპებოდა და მედიდურათ თავი მაღლა აეღო: აბა შემომხედეთ რა ბევრი ვიმუშავეო.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შრომით მოქანცული პოეტი საფლავს ჩაესვენა და მის კუბოს ვიღაც ბიჭ-ბუჭები მაგრა ჩაბღაუჭებიან, გულში ხელს იცემენ და თავდავიწყებით გაჰკივიან: საქართველო მოკვდა, ძისი მზე საფლავში ჩაესვენა, ძისი მთვარე აღარ ანათებსო.

რა თქმა უნდა, ასეთი ღრიალი და თავ-ხელცემა ვერავის ვერ შეაშინებს, რადგანაც ყველამ კარგათ იცის, რომ ასეთი გაცვეთილი ფრაზების ხუნი ჩვენში არ ახალია—ძველია, ყველამ იცის, რომ ასეთი ფრაზების ყვირილი ჩვეულებათა აქვთ ჩვენს თავის გამოჩენის მოსურნე ვაჟბატონებს.

— საქართველო დაიღუპა, ძისი მზე გაქრა, ძისი ვარსკვლავი მოსწყდა ცას!.. და ათასი ამ გვარები გვესმოდა მაშინ, როცა დიმიტრი ყიფიანი გადაიცვალა; იგივე გაცვეთილი ფრაზები შეუცვლელათ გვესმოდა, როცა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე გადაიცვალა; იგივე ფრაზები შეუცვლელათ გვესმის დღესაც.. მაგრამ ღმერთმა მოგვხედა და საქართველო ყიფიანისა და ბაქრაძის სიკვდილს შემდეგ არა თუ არ მომკვდარა, ძისი მზე არა თუ არ დაბნელებულა, პირიქით ჩვენი ქვეყანა ამ დროს განმავლობაში მკვდრეთით წამოდგა, ის ძლიერათ გააშუქა რევოლიუციის მზემ და ყველა თავისუფლებისათვის მებრძოლ კულტურულ ერების რაზმში ამოაყოფია თავი. მაშასადამე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველო არც ილ. ჭავჭავაძის სიკვდილით მოკვდება, რადგანც ამა თუ იმ ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე ამა თუ იმ პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული.

ამ დიდებულ მამის დამკარგველ პატარა კაცუნებმა უწინარეს ყოვლისა ერთი შემცდარი აზრი გამოისროლეს საზოგადოებაში. ისინი სერიოზულათ ამტკიცებენ, რომ ილ. ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილი პირდაპირი შედეგია „მესამე დასელების“ ლიტერატურული ამხედრებისა ილ. ჭავჭავაძისა და სხვა ჩვენი „მამების“ წინააღმდეგო. ამ მოსაზრებას ყველაზე უფრო ებღაუჭებიან „ისრის“ პუბლიცისტები. დადასტურებით შეიძლება ითქვას, განსვენებულ პოეტს რომ ამ მოსაზრების მოსმენა შეეძლოს, ის საფლავში სირცხვილით გადაბრუნდებოდა და მკვდარიც კი წამოიძახებდა: ღმერთო მაშორე ასეთი უგვანო თაყვანის მცემლებიო! აბა რა დასაჯერებელია, რომ ის ილ. ჭავჭავაძე, რომლის საუკეთესო ნაწარმოებთა ყოველი სტრიქონი ნამდვილი კრიტიკაა წარსულ დროისა, მოუწონებდა თავის ვითომდა თაყვანის მცემლებს ლიტერატურული კრიტიკისა და პოლემიკის უარყოფას მისი სახელით. რა ვუყოთ, რომ ბრძოლის დროს მებრძოლნი ხშირათ გადააჭარბებენ, ხშირათ პიროვნებაზეც გადავლენ, მაგრამ მწერლობა და ლიტერატურული კამათი ხელში ხმლითა და ხანჯლით ომი როდია, რომ ერთი დაკვრით მოწინააღმდეგეს თავი მოსჭრა და მერე ვერ გააცოცხლო. ლიტერატურული ბრძოლა მითაა კარგი, რომ მოწინააღმდეგეთ სრული საშვალება აქვთ სიმართლე აღადგინონ და ბჭობის საგანი განსაზღვრულ ფორ-

მებში მოათავსონ. ჩვენი მესამე დასელები და ბოლოს სოც.-დემოკრატია თავისი გაჩენის პირველ დღიდანვე ებრძოდა და ებრძვის ყოველს დროგადასულს, მან შეურიგებელი ომი გამოუცხადა ჩვენი მამების პოლიტიკას, როგორც შინ, ისე გარეთ, მაგრამ ჩვენს უკმაყოფილო მამებსაც არ დაუკლია ხელი: მათაც ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს ამ „ვიღაც გამოყრილ სემინარიელების“ წინააღმდეგ.

მართალია, იყო ერთხელ დროც, როცა განსვენებულმა ილ. ჭავჭავაძემ მის წინააღმდეგ ,,მოგზაურში'' მოთავსებული კორესპოდენციის საპასუხოთ წერილის დაბეჭდვა ძლივს გაახერხა, რადგანც თვითონ ,,მოგზაურს'' ის არ მიმართავდა და ჩვენი ფედერალისტების ორგანომ, იმ ფედერალისტების, რომელნიც ახლა ასე უტიფრათ ებღაუჭებიან განსვენებულის კუბოს, მას წერილი არ დაუბეჭდა. მხოლოთ განახლებულმა გაზეთმა ,,ივერიამ'' დიდი ყოყმანის შემდეგ დაბეჭდა ეს საპასუხო წერილი ,,ნუთუ''-ს სათაურით.

ეს ,,მოგზაურის'' გალაშქრება ჭავჭავაძის წინააღმდეგ განსვენებულის სიცოცხლეშივე იყო. ეს გალაშქრება არა გავდა მტრის უკანიდან მიპარვას და ზურგში დანის დაცემას. გაზეთმა სამართლიანათ თუ უსამართლოთ საწინააღმდეგო კორესპოდენცია დასწერა; ჭავჭავაძემ წერილითვე უგო პასუხი; მკითხველებმა თავისი აზრი შეადგინეს საკამათო საგანზე. მორჩა და გათავდა. მაშ რათ დასჭირდათ ამ ვაჟბატონებს ამ მტვერ-წაყრილი ამბის გამომზეურება? რატომ მაშინ არ თანაუგრძნობდენ ჭავჭავაძეს ფედერალისტები, რომ საპასუხო წერილსაც კი არ უბეჭდავდენ და დღეს კი ყალყზე წამომდგარან! რას იზამთ, როცა არსებობისთვის ბრძოლის დროს ჭავჭავაძის სახელი გამოსადეგი იარაღი შეიქნა?

მერე იცით ვინ და რა ჯურის ხალხი უფრო ამტყუნებს ,,მესამე დასელებს'' კრიტიკისთვის?

სწორეთ ისინი, ვინც პოეტის სიცოცხლეში მხოლოთ წვრილმანი თავ-მოყვარეობის გულისთვის, მხოლოთ იმიტომ, რომ თავისი უნიჭო ნაჯღაბნებისთვის რეკლამა გაეკეთებიათ, ქართულ ენის ცოდნასაც კი უწუნებდენ ილია ჭავჭავაძეს, იმ ილია ჭავჭავაძეს, რომლის მხატვრული ნაწერებიც აშვენებენ სამშობლო ლიტერატურას და, რომელიც ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ენას, რომ თავის დღეში ერთ სტრიქონსაც კი არ მისცემდა დასაბეჭდათ, თუ რამდენჯერმე არ წაიკითხავდა და არ გააშალაშინებდა. ვის არ ახსოვს ყოველათ უნიჭო და უხამსი ,,კრიტიკა'' სილოვან ხუნდაძისა, რომელიც ,,კვალში'' ამტკიცებდა, ილია ჭავჭავაძემ ქართული ენა არ იცისო. დღეს იგივე სილოვანი განსვენებული პოეტის კუბოსთან გამოჭიმულა და რაღაც გიჟური თავდავიწყებით ემუქრება ვიღაც ,,საქართველოს მტრებს'' და წყევლითა და კრულვით იხსენიებს პარტიებს, რომელთაც ვითომდა ნიადაგი მოამზადეს პოეტის მოსაკლავათ.

ეს ვაჟბატონები ისე გაიტაცა კრიტიკისა და ლიტერატურული ბრძოლის უარყოფის სურვილმა, რომ სერიოზულათ ამტკიცებენ: ჩვენ ილიასთვის ბრძოლა კი არ უნდა დაგვეწყო, კი არ უნდა გავკამათებოდით, პირ-იქით ჩვენ ქება-დიდება უნდა გვეწერა მაზე და ყოველგან და ყველასთვის აგვეხსნა, თუ რა დიდი მწერალი იყო და რა მაღალნიჭიერი კაცი იყო იგიო.

არა ვგონებთ, რომ ასეთი ილიას დამამცირებელი აზრის წარმოთქმა გაებედა განსვენებულ პოეტის თვით მოსისხლე მტერსაც. რას ეტყვით იმ კლაკიორს, რომელიც თან აგკვიატებია და წამ და უწუმ გაიძახის: შეხედეთ რა კაცია, რა ჭკუიანიაო და სხვა? რა თქმა უნდა ყოველი ჭკუათა მყოფელი ადამიანი ასეთ „მეხოტბეს“ პალურით გააგდებდა კარში, რადგანაც დღეს ბავშმაც კი იცის, რომ ყოველი კაცი თავისივე მოქმედებით დაფასდება და არა ვიგინდარების ქებათა-ქებით. ილია ჭავჭავაძე ერთობ დიდი ჭკუის კაცი იყო, რომ მას კიდევ ვისიმე კლაკიორობა დასჭირებოდა... მარა თუ კი ამ ყოველათ ბრიყვულ აზრის ავტორებს ასეთი სურვილი ქონდათ, ხელი ვიღამ შეუშალათ მის გახორციელებაში? საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება ისეთი გონებაგანუვითარებელი და ქონებრივათ უმწეო გლეხები, როგორიც არის თვით განსვენებული პოეტის სოფ. საგურამოში. დღეს ყველა იმას ფიქრობს, რომ სოფელ საგურამოს უმეცრების წუმპეში აღიზარდა ის მხეცი კაცი, რომელმაც ასეთი საზიზღარი საქმე ჩაიდინა. რატომ ამ ვითომ და პოეტის დიდი ნიჭის თაყვანისმცემლებმა კლაკიორობის ნაცვლათ ის ვერ მოახერხეს, რომ პოეტის საკუთარ სოფელში ერთი შკოლა და ბიბლიოთეკა მაინც გაეხსნათ განსვენებულის სახელით? ეს ხომ უკეთესი გზა იქნებოდა პოეტის ხალხისთვის გასაცნობათ? რატომ ის წერა-კითხვის- გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეთაც განსვენებული მთელი 28 წლის განმავლობაში იყო და, რომელსაც ბოლოს მთელი თავისი ქონება უანდერძა, ერთხელაც არ დაფიქრდა საგურამოს გლეხებში სინათლის შეტანაზე? ნუთუ აქაც „საქართველოს მტრებმა“ შეუშალეს ხელი? თუ „ვიღაც სემინარიიდან გამოყრილებმა“ კი მოახერხეს მთელი დასავლეთი საქართველოს სამკითხველოებითა და ბიბლიოთეკებით დაფარვა, „განათლე-

ბულ ფედერალისტებს რა მოუვიდათ, რომ ერთი შკოლა და ბიბლიოთეკაც ვერ გახსნეს? მარა ეს მათი სურვილიც მხოლოთ სიტყვებია, რომლის სინამდვილე მათ თვითონაც არა სწამთ.

ერთმა ჩვენმა მხცოვანმა მწერალმა, როდესაც ილ. ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილი გაიგო, თურმე სთქვა: მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ილია ბედნიერია თქო; თვით ამ სიკვდილმა დაამტკიცა, რომ მე არა ვცთებოდი: ილიას სიკვდილიც ბედნიერი ხვდა წილათო. პატივცემულ მწერალს შეიძლება ამით ის უნდოდა ეთქვა, ილია რომ თავისი ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო, ამდენი აურ-ზაური არ ატყდებოდაო. ეს თუ გნებავთ, მართალიც არის. ბუნებრივ სიკვდილს ყველა ადვილათ შეურიგდებოდა და მალეც მოინელებდა. ამ დიდი მითქმა-მოთქმის მიზეზი ილიას სიკვდილი კი არ არის, არამედ ამ სიკვდილის გარეგანი ფორმა. ასეა თუ ისე, პატივცემული მწერალის აზრი მაინც არ არის მართალი: კარგი ბედნიერებაა, თქვენმა მზემ, კაცმა მთელი ნახევარი საუკუნე იშრომოს და ბოლოს სიკვდილიც კი არ აცალოთ, ვერაგულათ მოუსწრაფოთ სიცოცხლე!

მარა რაც მართალია, მართალია: ილიას ავაზაკურმა სიკვდილმა სწორეთ რომ გააბედნიერა ჩვენი კაცი-ჭამია „სოციალისტები". ამათ შვენიერათ ისარგებლეს ილიას ტრაგიკულ სიკვდილით თავისი ბინძური სურვილების გასასაღებლათ. ზოგი პრავოკატორობას ეწეოდა განსვენებულის სახელით და „ქართველებო ხელი ხმალს იკარიო!"—გაიძახოდა. მოწინააღმდეგე პარტიების აბრუს გასატეხათ იარაღათ ხმარობენ ილიას ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს. ზოგი უნიჭო მჯღაბნელები, რომელნიც სრულიათ ღირსეულათ განისვენებდენ დავიწყების მორევში, ჭავჭავაძის კუბოს დასკუპებიან და უტიფრათ სარგებლობენ შემთხვევით, რომ საზოგადოებას ერთხელ კიდევ მოაგონონ თავიანთი უნიჭო თავები და მწერალთა და ორატორთა სახელი გაითქვან. ზოგი აბრუ კატეხილი და ხალხის მტრათ სამართლიანათ მონათლული „საზოგადო მოღვაწე" დიდი რიხით გამოჭიმულა ილიას კუბოსთან და ხმა-მაღლა გაიძახის: ვაი, რა დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავკარგეთო. და ბოლოს შემთხვევით სარგებლობს ხალხს აუწყოს, რომ ამ დიდებული მოღვაწის თანამებრძოლი ვიყავიო".

აბა რეკლამაც ასეთი უნდა!

როცა ეს საზიზღარი რეკლამები გესმისთ, უნებურათ გებადებათ კითხვა: ვინ უფრო საზიზღარი ყაჩაღობა ჩაიდინეს? იმათ, რომელთაც ასე მხეცურათ მოკლეს პოეტი და მისი ნივთები გაიტაცეს, თუ იმათ, რომელთაც ასე ურცხვათ და თანაც დაუსჯელათ თავისი პირადი ქონდრის კაცობის დასაფარავათ ორჩოფეხებათ გაიკეთეს პოეტის ჯერ კიდევ გაუცივებელი გვამი?.. როცა საზიზღარი მკვლელები ჩირგვებში პოეტს უცდიდენ თავისი მხეცური სურვილის გასახორციელებლათ, ისინი თავის თავს სასწორზე მაინც სდებდენ: ხო ადვილათ შეიძლებოდა, ისინი ვისმე დაენახა და დაეჭირა, ან თვით მკვლელობის დროს დაღუპულიყვენ? აქ რისკი მაინც არის. ამ ავაზაკებმა მოკლეს და გაძარცვეს პოეტი და ღირსეულათ დაიმსახურეს საუკუნო წყევლა. ეს ვაჟბატონები კი ურცხვათ ძარცვავენ პოეტის უსულო გვამს და პატიოსანი მამულის შვილების სახელი კი დაიმსახურეს. პირველნი თავისი ავაზაკური სურვილის ასრულების დროს რისკს მაინც ეწეოდენ და მეორენი კი თვით ნამესტნიკისა, რუსეთის პოლიციისა და მხედრობის დახმარებით ურცხვათ ქურდავენ განსვენებულ პოეტს და მით თავის ავაზაკურ სურვილებს იხორციელებენ.

ილიას კუბოს გარშემო ატეხილმა აურ-ზაურმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ მხოლოთ პატიოსან მტერს შეუძლია ადამიანის დაფასება და არა იმ კაცუნებს, რომელთაც ყოველ შემთხვევაში მხოლოთ თავისი პირადი ინტერესები ამოძრავებენ.

ნიღაბი აიხადეთ „პატიოსანნო ავაზაკნო!" ხალხი უკვე ხედავს თქვენს მელის კუდებს!

ყარიბი.

ციმბირში მიმავალი.

მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარეო!
გშორდები, მივალ შორს, შორს, ციმბირში:
აწ ის იქნება ჩემი სავანე,
ის ჩამიხუტებს თავის ცივ გულში!
ეს არის, დიახ, ეს ჩემი ხვედრი!
მე ცხოვრებაში ეს მერგო წილათ!
ასე ინებეს „ქვეყნის მამებმა",
რადგანაც მიცვნეს მავნებელ შვილათ.
რატომ?—იმიტომ, რომ მე გავბედე
და გავარჩიე თეთრისგან შავი,
კეთილი ვაქე, ბოროტი დავგმე,
მწარეთ გავკიცხე გასაკიცხავი;
ტანჯულ ხალხს თვალ-წინ დავუდგი სარკე,
შიგ დავანახვე თავისი თავი,
გამოვაფხიზლე, გონს მოვიყვანე,
ვამცვნე ვინც იყო მისი მჩაგრავი...
დიახ, ამისთვის მარგუნეს წილათ
ცივი ქვეყანა, ცუდი სადგური,
რომ აქ უჭკუომ, აწი იქ მაინც
ვისწავლო ჭკუა, ჭკუა მონური!

მარამა, ვფიცავ, რაკი ერთხელვე
მე ბრძოლის ველზე კი შევდგი ფეხი,
ქედს არ მოვიხრი, არა და არა,
ვიდრე არ გამსრესს ცხოვრების მეხი!
რაც სათქმელი მაქვს პირდაპირ ვიტყვი,
დაუფარავათ, მოურიდებლათ;
უსამართლობას შევებრძოლები,
ვიქნები მარად სიმართლის მცველათ.
აწ კი მშვიდობით, ჩემო სამშობლო,
უკანასკნელათ მომეცი ხელი,
რომ გეამბორო, გამოგეთხოვო
და გზას გავუდგე ქედ-მოუხრელი!

ვ. ჩახრუხაძე.

სხვადასხვა ამბები.

*** სახელმწიფო დუმის დეპუტატის არჩევნები ქუთაისის გუბერნიაში დანიშნულია 14 ოკტომბერს. იმედია, ყველა „ვიბორშჩიკები" დაესწრებიან საგუბერნიო კრებას.

*** ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის კომიტეტს ამ დღეებში მოუთხოვია გიმნაზიის ინსპექტორისათვის (ბ. ოცხელისთვის), გვაცნობეთ მასწავლებლებს ვის რა ცენზი აქვსო.—საკვირველია, რათ დასჭირდათ ამის ასე გვიან მოგონება! მაგრამ მოვიცადოთ და ვნახოთ, რა იქნება.

*** 21 ოკტომბერს, შუადღიდან, „семейный садъ"-ში გაიმართება ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ სეირნობა და ლატარია-ალეგრი.

*** ქალაქის კასა უკიდურეს მდგომარეობაშია. მოსამსახურეებს ჯერ ეკენისთვის ჯამაგირი არ მიუღიათ.

*** 3 ოკტომბერს, შუალამიდან დაწყებული მეორე დღის შუადღედმი მთელ არქიელის გორას ფერმიდან მოყოლებული მთელი გოჭოურა და გაბაშვილის გორას ირგვლივ ალყა ქონდა შემორტყმული ქვეითა და ცხენოსან ჯარის კაცებისაგან. ეძებდენ ოჯახებსა, ეზოებში და ტყეებში ციხიდან 26 ენკ. გამოქცეულ ტუსაღებს. პოლიციისათვის ენა მიუტანიათ, რომ გაქცეულები არქიელის გორაზე იმყოფებიანო და მათაც რასაკვირველია, საბუთი მიეცა ამის გამო ჩხრეკა-ძიება მოეხდინათ. ამ ღამეს მართლაც ბევრი ოჯახი დაჩხრიკეს, მაგრამ ვერავინ ნახეს, თუმცა ეჭვით ბევრი დაიჭირეს. დილით, ალიონზე, კი წმინდა გიორგის ეკლესიის ფერდზე, ჯაჭვის ხიდის თავზე ჩირგვებში იპოვეს დამალული ერთი კაცი, რომელიც პოლიციაში მიყვანის შემდეგ აღმოჩნდა ციხიდან გამოქცეული პოლიტიკური დამნაშავე, მასწავლებელი სტეფანოვი, რომელსაც ჯიბეში 174 მან. აღმოჩენია. რაკი [illegible] ინსპექტორ[illegible] გაიგეს, მაშინვე ციხეში უყვეს თავი. ამ დღეს გაქცეულთაგან მეტი არავინ დაუჭერიათ, თუმცა პოლიცია და ჯარი ფეხზე დგას და გაფაციცებით დაეძებს საკბილოს. ბნელი ძალებიც, რომელთაც ხელობათ გაუხდიათ ენატანობა, მაბეზღრობა საკმაოთ ხელს უწყობენ იმათ და ამნაირათ ადმინისტრაციას იმედი აქვს, რომ სულ ახლო დროში სუყველა გაქცეულთ დავიჭერო. სოფლებშიაც ბძანება გაუციათ, რომ უცხო ვინც ნახოთ დაიჭირეთო. ამ დღეებში ოკრიბიდან მართლაც ჩამოიყვანეს რამდენიმე კაცი.

*** ქალაქის გამგეობას არ დაუმტკიცებია სამასწავლებლო კომისიის მიერ წადგენილი ორი კანდიდატურა ორ თავისუფალ მასწავლებლის ადგილზე ქალაქის შკოლებში და საჭიროთ უცვნია ყველა თხოვნების ხელ-მეორეთ განხილვა. გასაკვირველია!! მთელ მასწავლებელთა კორპორაციას—16 კაცისაგან შემდგარს და სპეციალურათ დუმის მიერ არჩეულ სამოსწავლო კომისიას, რომელიც შესდგება ხუთი პირისაგან (მათ შორის ორი მასწავლებელია), ვერ შესძლებია თურმე ღირსეული კანდიდატების ამორჩევა და ამ როლს კისრულობს ქალაქის გამგეობა! რისთვის დასჭირდა ქალაქის გამგეობას ასეთი საქმის შეტრიალება—არ ვიცით!? მერმე ნეტავ ვინ კისრულობს მასწავლებლის დაფასებას?

სახალხო შკოლა დასავლეთ ევროპაში. *)

(ბ. ფლიტის წერილებიდან)

ბ) სახალხო შკოლა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა-განათლების საქმეზე ყოველ-წლიურათ მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედი ნაწილი იხარჯება. მოსწავლეთა რიცხვი შკოლებში შეადგენს მცხოვრებთა 23%. აი ამით სურათდება სახალხო სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა ამერიკაში.

ვეცდებით მოკლეთ გაგაცნოთ შინაგანი ორგანიზაცია და სახალხო შკოლის ცხოვრება შეერთებულ შტატებში. საზოგადო პირველ-დაწყებითი განათლება, ეს დიდებული საქვეყნო იდეა, რომლის მატარებელი იყო დასავლეთ ევროპის გამოჩენილი ფილანტროპები თითქმის ყოველი დროისა, დაწყებული არისტოტელიდან ვიდრე ჩვენს პედაგოგებამდე, არსად ისე არ გახორციელებულა, როგორც შეერთებულ შტატებში.

შკოლა აქ უფრო სავალდებულო, თავისუფა-

*) იხ. ცისკარი №№ 1 და 2.

ლი, ყველასათვის მისაწვდომი, დემოკრატიული და ზედმიწევნით რაციონალურია.

როგორც მზე და ჰაერი, ისე შკოლაც უნდა იყოს უფასო და ყველასათვის მისაწვდომი,—ამბობენ ამერიკელები. საზოგადო შკოლა—ეს საქველმოქმედო დაწესებულება კი არაა, არამედ განსაკუთრებული სახე საზოგადოების თვითდაცვისა მავნე ელემენტებისაგან, რომელნიც წარმოადგენენ ხალხის უვიცობის და სიბნელის ნაყოფს. უფასო სწავლით ამერიკელები არ კმაყოფილდებიან. ისინი უფასოთ ურიგებენ ბავშებს წიგნებს და საზოგადოთ სასწავლო ნივთებს, ძალიან ღარიბებს სასმელ-საჭმელსაც აძლევენ.

ამერიკული შკოლის განსხვავებით ხასიათს შეადგენს ვაჟებისა და ქალების ერთათ სწავლება. ამ გვარ სწავლა-აზდის ფორმას ამერიკელები უცქერიან, როგორც ერთ უმთავრეს პრინციპთაგანს პედაგოგიაში. თითქმის ყველა შკოლები ამერიკაში ამ გვარი ტიპისაა.

„ბავშები, შეკავშირებულნი ოჯახში, უნდა უფრო შეკავშირებულნი იყონ მათი აზდის დროს“, ამბობს ამერიკული პედაგოგია. და მართლაც თვით ზნეობრივი, ეკონომიური და გონებრივი მოსაზრება გვიკარნახებს ქალთა და ვაჟთა აუცილებელ ერთათ აზდას შკოლაში. ჟ. ჰ. რიხტერმა სამართლიანათ შენიშნა: „საუკეთესო გარანტია კარგი ყოფაქცევისა სასწავლებელში არის ქალთა და ვაჟთა ერთათ აზდა; ორი ვაჟი კეთილ ზეგავლენას იქონიებს თორმეტ ქალზე და თორმეტი ქალი ორ ვაჟზე“. გიპპოს აზრით, ვაჟები და ქალები ერთათ სწავლა-აზდის დროს, თავისუფალი არიან იმ ავათმყოფ მდგომარეობისაგან, რომელიც ემჩნევა ჩვენს ევროპის ახალგაზდობას, სადაც ცრუ შიშის გამო, ორივე სქესი განკერძოებული არიან ერთმანეთისაგან.

ჩვენი სახალხო შკოლების საამაყოთ ეს საუკეთესო ამზდელობითი პრინციპი გატარებულია ჩვენს ზოგიერთ ქალაქის და სოფლის შკოლებში. ევროპის სახელმწიფოებში მხოლოდ ნორვეგიამ მიბაძა ამ კეთილ მაგალითს.

რას შეიცავს ამერიკის სახალხო შკოლის პროგრამა?

იყო დრო, როცა მთელი პროგრამა შეიცავდა „სამ R“-ს. ეს ნიშნავდა: წერა, კითხვა და ანგარიშს...

მაგრამ ახლა ამერიკელი თხოულობს შკოლისაგან მეტს. იგი თხოულობს უკვე ფორმულას: „სამი H“. რაც ნიშნავს: თავი, გული და ხელები. ე. ი. სახალხო შკოლა უნდა ზდიდეს და არა მარტო ავითარებდეს, უნდა სპობდეს ბავშვში ეჭვ ჩვეულებას და აყენებდეს წაღმართ გზაზე, ხოლ-ორა მარტო ასწავლიდეს.

უმთავრეს საგნებათ ამერიკის სახალხო შკოლაში ითვლება: წერა-კითხვა, მართლ-წერა, წმინდა-წერა, ინგლისური ენა, ლიტერატურა, არითმეტიკა, გეოგრაფია, შტატების ისტორია, ხატვა, ყოფაქცევის წესები.

ზოგიერთ შკოლებში ასწავლიან ბუნების-მეტყველებას, სამეურნეო მეცნიერებას, ხელსაქნარს, კანონმდებლობას, ხატვა-ხაზვას და უცხო ენებს.

საინტერესოა გავაცნოთ მკითხველი ზოგიერთ სწავლა-აზდის მეტოდებს. მაგალითათ, ზნეობის გაკვეთილებს ასწავლიან სპეციალური პროგრამით. თვით-კონტროლი, თვით-განზრახვა, პატიოსნება, მოთმენა, გეროიზმი (გმირობა), სიკეთე, სამშობლოს კანონები, მოწყალება და სხ. ყველა ეს შეადგენს ცალკე გაკვეთილთა საგნებს. მასწავლებლები მაგალითით ასწავლიან ბავშებს პატიოსნებას, სიმართლეს. შეგირდები სარგებლობენ სრული ნდობით. სიცრუეს ადგილი არ აქვს ამერიკულ შკოლაში, კონტროლი მინიმუმამდი არის დაყვანილი.

„საშვალო შკოლების სასწავლებლების მასწავლებელნი—ნათქვამია ამერიკის შკოლის კანონმდებლობაში, უნდა ხმარობდენ ყოველივე საშვალებას, რათა შთანერგონ მათდამი რწმუნებულ ბავშებში და ახალგაზდობაში პრინციპები სიმართლისა, სათნოებისა, პატივისცემა სიმართლისადმი, სამშობლოს სიყვარულისადმი, შრომის-მოყვარეობა, სიმშვიდე და მომჭირნეობა.

რელიგიოზურ საგნებს, როგორც საზოგადო სარწმუნოებასაც შკოლაში ადგილი არა აქვს. „ეს ოჯახისა და ეკლესიის საქმეაო,“ ამბობენ ამერიკელები.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ამერიკელ შკოლას უმთავრეს მიზნათ სწავლა-აზდის საქმეში დასახული აქვს არა მარტო ცოდნათა შეძენა და გონების განვითარება, არამედ ჭეშმარიტ მიმართულებათა გაჩაღება, ცოცხალი ენერგიის გაღვიძება ცხოვრებაში კაცობრიობის ინტერესებისადმი სასამსახუროთ.

რამდენ ხანს გძელდება სასწავლო დღე პირველ დაწყებით საზოგადო შკოლებში?

სასწავლო დღე გძელდება არა უმეტეს 6 საათისა, დასვენება 10—15 წამი; სასწავლო სეზონი გძელდება ეკენისთვიდან ივნისამდე. უქმე დღეები ძლიერ ცოტაა. უმთავრესი მათგანია: არჩევნების დღე და რესპუბლიკის წლის-თავის დღესასწაული.

ამერიკელებს არ ავიწყდებათ, რომ განვითარე-

ბა აღებ-მიცემობის, ვაჭრობა-მრეწველობის, ხალხის კეთილდღეობის, მეურნეობისა და სხვა პროპორციონალურათ უდრის ცოდნათა გავრცელებას, სწავლა-განათლების განვითარებას, რომ ასეთი ღრმა ცოდნა, და არა ზარბაზნები და სალდათები, არის ნიშანი ქვეყნის სიძლიერის..

სწავლა-განათლების საქმის მთელი გამგეობა ხალხის ხელშია და კერძო შტატების მთავრობას ექვემდებარება.

მშობლები ირჩევენ თვითეულ წრიდან შკოლის კომიტეტს. ეს კომიტეტი მართავს ოლქის შკოლების საქმეებს, რაიონის, თუ საზოგადოებისა, განაგებს როგორც ფინანსიურს, აგრეთვე პედაგოგიურ საქმეებს. შკოლების მართვის კანონმდებლობას სცემს შტატების მთავრობა. კომიტეტები კი ატარებენ ცხოვრებაში ამ კანონებს. შკოლების რევიზიას ახდენს სუპერინტენტი (მთავრობის აგენტია). შტატებში სახალხო განათლების საქმეს მართავენ განსაკუთრებული კომიტეტები, რომლებიც ადგენენ პროგრამებს, ირჩევენ სახელმძღვანელოებს, აძლევენ მასწავლებელთ დიპლომებს, ადგენენ წლიურ ანგარიშებს, მართვენ სიეზდებს და, საზოგადოთ, თვალყურს ადევნებენ შკოლებს.

ეს შტატების კომიტეტები აწესრიგებენ მინიმალურ ნორმებს; აი, მაგალითათ თვითეულ შეგირდზე შკოლებში მინიმალურ ნორმათ ჰაერისა მიღებულია 70 კბ. ფუტი.

მინიმალური ჯამაგირი მასწავლებლის—85 მანეთი (44,39 დოლლარი) თვეში.

მასწავლებელთა სიეზდები, კლუბები, ასოციაციები ძლიერ ხშირათაა ამერიკაში. აქ მასწავლებელნი ცხოვრობენ ერთ ამხანაგურ, მწყობრივ კორპორატიულ ოჯახათ.

1892 წ. 64,834,561 მცხოვრებთაგან მთელ ამერაკაში სწავლობდა 14,567,271 კაცი.

ვაშინგტონამდი, ფრანკლინამდი, მიდისონამდი და ჯეფერსონამდი—შკოლის ჭაჭანებაც არ იყო ამერიკაში.

„ღვთის მადლით“,—სწერდა 1671 წელს გუბერნატორი ვირგინიისა—ბერკლეი,—„აქ არ არის არც უფასო შკოლები, არც საბეჭდავი მანქანა, და მე დარწმუნებული ვარ, არ იქნება კიდევ არც 100 წელიწადს, რადგან განათლება იწვევს მთავრობისადმი წინააღმდეგობას და ავრცელებს ცრუ სარწმუნოებას.“

ასეთი აზრები ჩვენთვის ახალი არ არის. დღევანდელ ცხოვრებაში მათ გატარებას ჩვენი თვალითა ვხედავთ. მაგრამ ისტორია თავის ნაბიჯით მიდის წინ პროგრესიულათ მსვლელობს და რუსეთშიაც მალე დადგება ბრწყინვალე დღე.

ეს დღე შორს არ არის. ჩვენი ცხოვრების განახლებასთან განახლდება შკოლაც.

მაშ ვიმუშავოთ ამ დიდებული საქმის გასახორციელებლათ!

ვარლამ ობჩელი.

პატარა ფელეტონი.

მოლვაწეთა მოლვაწეობა.

საუცხოვო იყო დავითი წრევანდელ კრებაზე. მისმა რევიზიამ და დოკლადმა კრებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველანი წარბშეკრულები, მეტისმეტათ დანაღვლიანებულნი ისმენდენ დოკლადს. დოკლადი დასრულდა. დარბაზში კარგა ხანს გძელდება სამარისებური სიჩუმე. თავმჯდომარე კმაყოფილია მოხდენილი შთაბეჭდილებით. იგი ულვაშებში ეშმაკურათ იცინის და გამარჯვებული სახით კრებას ზემოდან დასცქერის. ყველა თავჩაქინდრულია, ყველა მოწყენილია... თავჩაქინდრულია თვით თფილისის განყოფილების გამგეც და სირცხვილით მაღლა ვერ იხედება.

— დამშვიდდით, ბატონებო! შეწევნითა ღვთისათა საქმე მოგვარებულია. თფილისის მამულების გამგეს, ბ. ვასილს, ყველანი კარგათ იცნობთ. ბ. ვასილი მეტისმეტათ პატიოსანი კაცია. მან ზედმიწევნით იცის ბანკის საქმე და ამასთან ფრიად მუყაითიცაა. პირადათ მე დიდ პატივსა ვსცემ მას და, აპეკუნს რომ თავიდან მოგვაშორებდენ, მე დიდი სიამოვნებით დავნიშნავდი მას ჩვენი ბანკის თავმჯდომარეთ, მარაა... მარა, მე პირდაპირი კაცი ვარ, არ შემიძლია დავფარო, რომ მას მამულების მართვა-გამგეობის ინჩიც არ გაეგება. და ის მამულები რომ წელსაც მის ხელში დაგვეტოვებია, თქვენი მტერი დაღუპულა, ჩვენ დავიღუპებოდით. საბედნიეროთ რევიზია კაი დროს მოვახდინეთ და ბანკი დიდი განსაცდელისაგან დავიცვევით. მამულების მართველათ ჩვენ დავნიშნეთ ბ. საშა, რომლის მომჭირნეობის წყალობით მამულების შემოსავალმა შესამჩნევათ იმატა და, იმედია, შემდეგში კიდევ უფრო მოიმატებს... მარა, ბ. მართველიც აქა ბძანდება და თვითონ მოგახსენებთ.

დაასრულა თუ არა დავითმა, საშა მოჭიდავე ესებუასავით ტრიბუნაზე წამოიჭიმა და მქუხარე რეჩი წარმოსთქვა:

ბატონებო! შეიძლება ბევრ თქვენგანს გაუკვირდეს და იფიქროს: „ამას თავისი მამულისთვის ვერ მოუვლია და ჩვენსას როგორ მოუვლისო“, მარა დაგარწმუნებთ, ცდებით, დავი-

თი ნუ მომიკვდება საშინლათ ცდებით! აბა, რომელი თქვენგანი არ იცნობს იმ დიდყურას, რომელიც თავისთვის ვირს იკეთებს, სხვებს კი—ჯორს? მართლია, ვერაფერი სასიამოვნო შედარებაა, მარა უნდა გამოვტყდე, რომ იმ პატიოსანსა და ჩემ შორის ამ მხრით დიდი მსგავსებაა... რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, ამას, ბატონებო, ახლავე ციფრებით დაგიმტკიცებთ. თუშმალოვის მამულს შარშან ნოემბერში შემოქონდა 20.., მან., წელს კი ჩემი მართველობის დროს, ნოემბერშივე 24 მან. და ცამეტი კაპეიკი. ამ მამულს, როგორც ხედავთ წელს მომატებია 4 მანეთი და 13 კაპ.; გამყრელიძის მამულს იმავე თვეში შემოქონდა... 12 მან. ახლა შემოაქვს 30 მან და შვიდი შაური; მომატებია როგორც ხედავთ, ერთი-ორათ; ბაბაევის მამულს...—რიხიანათ განაგრძობს საშა.

მე სკამზე კი არა—სადგისებზე ვზივარ, კანში ველარ ვეტევი; ჩემს თავზე ბრაზი მომდის, რატომ მეც რწმუნებული არა ვარ და ამ კრებაზე ლაპარაკის ნება არ მაქვს, რომ ეს თავხედი დავამოკლო. ბრაზი მომდის ვასილზედაც, რომ პირში წყალი დაუგუბებია და პასუხს არ აძლევს. მართალია, ის მეტისმეტათ მორიდებული, ხათრიანი, მორცხვი კაცია და თავის სიკეთე-ღირსებებზე ლაპარაკი არ უყვარს, მარა ასეთი „სკრომნოსტობაც“ ალარ გამიგონია!!

საშა განაგრძობს თავის რეჩს და რწმუნებულნიც მას აღტაცებით შესცქერიან. ამ ათიოდ წამის წინ მოქურუშულ სახეზე მათ მზე უთამაშებს...

ორატორმა სიტყვა გაათავა და მოისმა ტაშის გრიალი.

ფიალა აივსო, მოთმინების ძაფი გაწყდა... აქ ვასილმაც ველარ მოითმინა, ზეზე წამოიჭრა და უმანკო პატარძალივით სახე გაწითლებულმა ათრთოლებული ხმით კრებას მიმართა:

— ბატონებო! ნება მიბოძეთ თავმჯდომარისა და ახლახან მოლაპარაკე ორატორის სიტყვებში ცოტა რამ შესწორება შევიტანო. აქ მოგახსენესთ, თითქო მე ამ მამულების მართვა-გამგეობას 1905 წლის ივნისიდან შევდგომოდე... უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ნამდვილთან სწორი არაა... ნამდვილათ ეს მამულები მე აგვისტოში ჩავიბარე... მამულები, როგორც დოკლადში ხელოვნურათაა დასურათებული, მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ზოგი მათგანი იანვრის პაგრომის დროს ხომ მთლათ გავერანდა. ერთი მიბძანეთ, რომელი გიჟი დადგებოდა ზარბაზნების ყუმბარებით დაცხრილულ სახლებში! თითქმის ყველას ეჭირვებოდა შეკეთებ-შეპაჩნიკება; ზოგი კი მთლათ უნდა დანგრეულიყო და ხელახლა აშენებულიყო. ყველას ერთბაშათ შეკეთება ამ წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო, რადგანაც ბაზინ დიდი გაფიცვები იყო და არც მუშა და არც მასალა არ იშოვებოდა და მეორე მხრით—ყველა სახლების რიგიანათ შეკეთება ძალიან დიდ ხარჯს მოითხოვდა, რომლის გაღებაც თქვენი პატივცემული კრების უდასტუროთ ჩვენ არ შეგვეძლო. ზოგიერთი სახლები კი, რამდენათაც შეიძლებოდა, შევაკეთებიეთ და სწორეთ ეს სახლებია შარშანდელზე მეტი შემოსავალი რომ შემოაქვთ, აქ ბ. საშას მომჭირნეობა და უნარი არაფერ შუაშია. აქა ბძანეს, შანშან მამულს ნაკლები შემოსავალი ქონდაო... ნაკლები შემოსავალი რომ ქონდა, ეს კი არაა საკვირველი, საკვირველი უფრო ისაა, რაც ქონდა, ისიც როგორ ქონდა! თითქმის ყველა ეს მამულელები, ბატონებო, დიდუბეშია. უმეტესათ იქ ცხოვრობენ ღარიბი რკინის გზის მუშები, რომელნიც ოქტომბრის გაფიცვის დროს ერთ გროშსაც ჯამაგირიდან არ ღებულობდენ და პაგრომს შემდეგ თითქმის მთლათ უსახლკაროთ დარჩენ. ახლა, ბატონებო სხვა დროა. ორატორს უკეთეს პირობებში ერგო მართველობა და ამიტომაცაა, რომ სხვისი ხელით ასე თამამათ გამოაქვს ღადრიდან შემწვარი წაბლი! წელს მეტი შემოსავალიაო... თუ მეტი შემოსავალია, აბა ერთი კასირს კითხეთ, რამდენი ჩაეჩხრიალა კასაში იმ მამულების შემოსავალი? პირიქით, ვგონებ, ათჯერ მეტია აქედან გატანილი ბ. მართველის ჯამაგირათ და სხვა ხარჯებისათვის. — მეტი შემოსავალიო... მე ვამტკიცებ, რომ გაცილებით მეტი შემოსავალი იქნებოდა, რომ ისევ ჩვენს მოსამსახურეს ხელი არ შეეშალა. კოჯორის მამულს იჯარით იღებდენ 1.000 მანეთათ. საქმე გათავებული იყო, პირობა დაწერილი. მეორე დღეს იჯარადარი უნდა მოსულიყო და ხელი მოეწერა .. ვუცდი მეორე დღეს, მესამეს, მეოთხეს... გავიდა ერთი კვირაც. მივიკითხ-მოვიკითხე, რა ამბავია, პირი რათ შეგვიშალათქო და აი რა აღმოჩნდა: ერთ ჩვენს მოსამსახურეთაგანს იჯარადრისათვის უთქვამს, გიჟი ხომ არა ხარ, ამდენს რომ იძლევი, ცოტა შეიცადე და ნახევარზედაც დაგიჩოქებენო...

დარბაზში საშინელი ჩოჩქოლია. რწმუნებულნი ერთმანეთს ყურში ჩურჩულით ვიღაცას სახელს გადასცემენ.

— ვინაა? რომელია? უნდა დაასახელო! მოისმის იქით-აქედან.

— ვინაა, მე არ ვიცი, მარა, რომ ეს სიმართლეა, იმედი მაქვს დაამოწმებს ბ. კ. აბდუშელიშვილი.

ბ. აბდუშელიშვილმა მართლა სიტყვა-სიტყვით

დაამოწმა ბ. ვასილის ნალაპარაკევი, მარა იმდენი მოქალაქობრივი სიმამაცე ვერ გამოიჩინა, რომ, რაც ყურში მეზობლებს წასჩურჩულა, ხმამაღლა ელიარებია.

ველოდი ბ. საშა პასუხს გასცემდა და მათ სიყალბეს დაამტკიცებდა. მივიხედ-მოვიხედე, მარა საშა აღარსა იყო.

— აი, ბატონებო, რომ გეუბნებოდით, რევიზიაა საჭირო, რევიზიათქო და რომ არ დამიჯერეთ, ბევრი ფული დაიხარჯებაო.—ახლა რას იტყვით, ყოფილა საჭირო, თუ არა?! მარა ამას ახლა თავი დავანებოთ და იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ მოვაწყოთ საქმე მერმისთვის. მართალია ჩვენს ახალ მართველს თანაშემწეცა ყავს, მარა ერთი თანაშემწის ამარა რას გახდება, საჭიროა, კიდევ დავუნიშნოთ ტეხნიკი, შიკრიკი და მცველი. ამასთან აუცილებლათ საჭიროა, რომ ის მოქმედებდეს განყოფილების დირექტორის სრულიად დამოუკიდებლათ, თვარა ხომ გაგიგონიათ რუსული ანდაზა: „у семи нянокъ дитя безъ глазъ“-ო,—ბძანა თავმჯდომარემ.

თუმცა დავით რევიზია თავის მოხსენების გასამართლებლათ და საშას რწმუნებულების თვალში ასამაღლებლათ ეჭირვებოდა და არა ამგვარ ბოროტმოქმედების ამოსაჩენათ, მარა მან მოხერხებული **აზრუნდით** ესეც თავის სასარგებლოთ გამოიყენა. ორი-სამი კაცი თუმც გაცხარებით ამტკიცე**ბდა,** განყოფილებაც და დირექტორიც იქ მისთვისა გვყავს, რომ სესხიც აიღოს და მამულებსაც მოუაროს მართველის დირექტორთან გასწორუფლებიანება.—ეს სამეფოში სამეფოს დაარსება იქნება და ხეირს არ დაგვაყრისო, მარა ვინ გაუგონა?! „კენჭი, კენჭიო!“—გაჰკიოდენ მომხრეები და გაიტანეს კიდეც. დაუნიშნეს საშას ხელქვეითები: ტეხნიკი, შიკრიკი და მცველი. ამასთანავე გაუთანასწორეს დირექტორს უფლებაში.

კიდევ კარგი, რომ საქმე ამით გათავებულიყო, მაგრამ არა, ჯამაგირს გარდა საშასათვის რამე კერძო შემოსავლის წყაროც უნდა გამოენახათ და გამონახეს კიდეც. ეს მეტი ბარგი, თფილისის მამულები, რომელიც ბანკს მაჯლაჯუნასავით აწევს, რომ თავიდან მოიშორონ, გადასწყვიტეს მისცენ რამდენიმე პროცენტი სადალალო, ვინც რომელიმე მამულს გააყიდვიებს. და ამ გადაწყვეტილებით საშამაც მარჯვეთ ისარგებლა. ამ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მან ორი მამული გაყიდა და კაი შვიდასი თუ რვაასი მანეთი ჩაიჩხრიალა. ახლა არ იკითხავთ, როგორ გაყიდა?—აი როგორ. გენსა და არლოვისეული მამული, რომელზედაც ორმოც და ათი ათასამდე ვალი ირიცხება, ვიღაცამ თავის სახელზე გადაიტანა და ბანკში მხოლოდ [illegible] მანეთი შეიტანა, შენს საშას კი სადალალო ჯიბეში ოთხასი მანეთი უჩიტეს. ამგვარათვე არუთინოვისეულ მამულის გაყიდვაში მანვე სამასი თუ ოთხასი მანეთი მიიღო. ადვილი შესაძლებელია ამ მამულების ახალმა პატრონებმა უწინდელი პატრონებივით ეს მამულები ისევ ბანკს შეატიონ. ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ ეგვე მამულები საშამ მეორეჯერაც გაყიდოს და ახალი სადალალო აიღოს. ასე და ამა პირსა ზედა ჩვენს საშას დაულეველი სადალალო, ხოლო ბანკს კი ნიორი და ნაჭურჩალა!..

მარა დავუბრუნდეთ ისევ კრებას.

როცა სადალალო პროცენტების მიცემის შესახებ კითხვა წყდებოდა, ერთი რწმუნებული თავადი რამდენჯერმე წამოდგა და სიტყვა ითხოვა, მარა თავმჯდომარემ ნება არ მისცა. თავადი მაინც არ ცხრებოდა და სიტყვას დაჟინებით მოითხოვდა. თავმჯდომარე მოთმინებიდან გამოვიდა, სტოლზე მუშტი დაკრა და გაჯავრებულმა დაუყვირა: კითხვა გამორკვეულია და იმის შესახებ მე თქვენ ლაპარაკის ნებას არ მოგცემ.

თავადსაც გული მოუვიდა და ამანაც დაუყვირა.

— რა ამბავია, ზოგს ათჯერ ალაპარაკებთ და მე კი ერთი სიტყვის ნებასაც კი არ მაძლევთ! მე ამ კითხვის შესახებ არ მსურს ლაპარაკი, სულ სხვა მინდა ვთქვა.

მე ამ ორ თავადს გაკვირვებით ვუცქეროდი, თანაც მეშინოდა, ერთმანეთს არ ეძგერონ და მოწმეთ არ დამასახელონთქვა, მარა, ღვთის მადლით, საქმე მშვიდობიანათ გათავდა, თავადმა სიტყვა მიიღო.

— შარშან, ბატონებო, ჩვენს პატივცემულ თავმჯდომარეს მის ფასდაუდებელ მოღვაწეობისათვის გადაუწყვიტეთ ჯილდოთ ათი ათასი მანეთის მიცემა. გადაწყვეტილება ჩინებულია, მარა ათ წლათ რომ გააწიწილაკეთ, ათას-ათასი მანეთი წელიწადში, ეს კი ვერაფერი მოსაწონია. ეს ბატონებო, **მოგეცა, მარა ვერ მოგეცაა.** ათ წელიწადს, თქვე დალოცვილებო, ბედნიერი გაძლებს. მოგეხსენებათ, ყველა სიკვდილის შვილი ვართ. ღმერთი რომ გაწყრეს და... ჩვენს დავითს ჯვარი სწერია!.. ღმერთი რომ გაწყრეს, ხომ დარჩა ბანკს ის ფულები! მერე როგორ გინდათ ჩამოირეცხოთ ეს სირცხვილი?! არა, ბატონებო! რაც არ გვეკადრება, არ გვეკადრება! თუ ვაძლევთ, ბატონებო, ბარემ ერთათ მივცეთ, ათი ათასი მანეთი ბანკისათვის აბა რას შეადგენს!..

დავითი თავჩაღუნულია და ორატორს დარც-

ხვენით უსმენს. რამდენჯერმე წამოიწია, თითქო უნდოდა ორატორისათვის სიტყვა გაეწყვეტინებია და უარი ეთქვა, მარა ბოლოს ხელი ჩაიქნია და დაჯდა. ან კი რა უნდა ექნა, იცოდა უარს არ ათქმევინებდენ...

დარბაზში ისევ ჩოჩქოლია.

— მივცეთ, ბატონებო, ერთათ მივცეთ, ათი ათასი მანეთი რა ფეხებია!—იძახიან მომხრეები.

—არ შეიძლება, არა! ათიათასი რომ მას მივცეთ, საამხნაურო გიმნაზიას რაღას ეუბნებით? წელს მერვე კლასი იხსნება, ხარჯი ემატება და რა პასუხი გინდათ გასცეთ?

აურზაური თანდათან მატულობს. მოპირდაპირენი ერთმანეთს არ უთმობენ. გაცხარებული კამათია... მარა მოურიგებელნი ისევ დავითმა მოარიგა:

— შეძლების დაგვარათ, ბატონებო, შეძლების დაგვარათ! თუ ბანკს საშვალება ექნება, ხომ კარგი, თუ არა და გიმნაზია რომ უსახსროთ დარჩეს, მე ამას თავის დღეში არ ვიკადრებ. მე ცოტა შრომა არ მიმიძღვის მის გახსნაში და მას სახსარს როგორ მოვუსპობ!

ზოგი თხისკენ, ზოგი მგლისკენო, რომ იტყვიან, მართალი მოგახსენოთ, ყველაზე მეტი შრომა გიმნაზიის გახსნაში მართლაც მას მიუძღვის და, საზოგადოთ, გიმნაზიას ყველაზე მეტ მზრუნველობასაც ის უწევს.

ასე და ამ რიგათ ბანკის რწმუნებულთა კრებაც დასრულდა.

არ გაუვლია სულ რამდენიმე დღეს კრების შემდეგ, რომ დავითმა მოსთხოვა გამგეობას „თანახმათ კრების გადაწყვეტილებისა" თავის ჯილდოს კარგა ზორბა ნაწილი. მარა გამგეობამ მას,—ჰოი, საკვირველებავ!—ამოდენა ფულის მიცემაზე უარი მოახსენა. დავითი „პრეკოსლოვიეს" ჩვეული არაა და საშინლათ აენთო.

— ეს კრების გადაწყვეტილების ფეხქვეშ გათელვაა! ამ თავხედობას მე თქვენ არ შეგარჩენთ. **Сейчасъ созову экстренное собраніе и предложу раскассировать весь составъ!** (ახლავ საგანგებო კრებას მოვიწვევ და წინადადებას მივცემ ყველანი ადგილიდან დაგითხოვონ).

მოგეხსენებათ, სული ტკბილია და ტყავი მწარე. რა გასაკვირია, რომ გამგეობის წევრთ შიშის ქარი გადგომოდათ. თუმცა ერთი წევრთაგანი ამ მუქარის შემდეგაც დიდ უარზე იდგა, მარა დანარჩენმა ორმა **ხმის უმეტესობით** მიცემა გადასწყვიტეს და დიდი მოწიწებით და „იზვინენიით" მიართვეს დავითს მოთხოვნილი.

ეს წყეული „რასკასიროვანიე" ყოველ ჟამს და მარადის გამგეობის წევრთ დამოკლეს ხმალივით კისერზე აწევთ და როგორ შეუძლიათ დავითს არ ემორჩილონ და რამეზე უარი გაუბედონ!..

როგორც მოგახსენეთ, დავითი დიდბუნებოვანი კაცია, და მისი მოღვაწეობა ასეთი ვიწრო ფარგლით არ განისაზღვრება. ის ბევრ სხვა საქმეებშიაც ცნობილია და სხვა ასპარეზზედაც რომ მის მოღვაწეობის აჟერას შევუდგეთ, ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს ჩემი პატარა ფელეტონი უმისოდაც ძალიან გაჭიანურდა. ამ მოღვაწეობის ოდნავ დასახასიათებლათ მოგახსენებთ მხოლოთ ერთ პატარა ანეკდოტს, თუ ზღაპარს:

ერთხელ დავითმა დიდი ნადიმი გამართა. სხვა წარჩინებულთა შორის ნადიმზე მოწვეული იყო ყოფილი გუბერნატორი სმაგინიც. როცა სუფრაზე ბულიონი მიართვეს „პიროჟკებით", გუბერნატორმა თავის მეზობელს წასჩურჩულა: „თავადო, როგორ ფიქრობთ, რამდენ გასაწვევ ჯარის კაცს ჩავატნევთ ჩვენ ამ „პიროჟკებს"?

აზრს, ეჭვი არაა, უკომენტარიოთაც მიხვდებით.

წელკავი.

P. S. მოღვაწეთა საყურადღებოთ.

რადგანაც ზოგიერთ მოღვაწის ფორმულიარი ამ ჟამათ ხელთ არა მაქვს და შეიძლება ზოგი გულნაკლულათ დამრჩეს და მისაყვედუროს: კაცათ არ ჩაგვაგდო, ჩვენ რა სხვაზე ნაკლები მოღვაწე ვართო, —ვთხოვ ყველას, ვისაც თავი მოღვაწეთ მოაქვს, თავისი ფორმულიარი დროზე მომაწვდინოს.

მისამართი: კათოლიკების ქუჩა, თოფურიასეული საავათმყოფო.

პატივისცემით წელკავი.

დედ-მამა.*)

(ეტიუდი).

— შვილო, რას მეუბნები? რა მესმის შენგან? ვიბრძოლოთ, გლეხებს ამოვუდგეთ გვერდით, გავთანასწორდეთ—გავერთიანდეთო? მერე და ვისთან? ვის უნდა შევუერთდეთ, ყმაწვილო! რა გვაქვს ჩვენ ყაზახებთან საერთო გარდა ერთმანეთშორის ჟამთავითარებისაგან დამკვიდრებულ უმცროს-უფროსობისა?! ვინ მეუბნება ამას? ჩემი შვილი? ის შვილი, რომლის იმედითაც ვსცოცხლობდი, ვსტკბებოდი და ვნეტარებდი... ის შვილი, რომელსაც იმედით სავსე თვალებით შევყურებდი, მის სწავლის დამთავრებას, სამსახურის მიღებას და ჩვენ მოხუცებულ დედ-მამის მოვლა-პატრონობას ციურ მანანას მსგავსათ მოველოდი?! რამდენჯერ დამიტკბია აღელვებული გული საბრალო მოხუცებულ მამაშე-

*) იხ. „ცისკარი" № 3.

ნისთვის იმ რწმენით, რომ მალე შვილები წამოგვეზრდებიან, სწავლა-განათლებას დაამთავრებენ და ამ მძიმე ტვირთს ისინი შეგვიმსუბუქებენ მეთქი? ამის მაგიერ, რაები მესმის, შვილო, შენგან? რათ არ გებრალება მოხუცებული მამა შენი?.. რათ გვიქცევ ოჯახს, გვირყევ მამაპაპათა რწმენას? გვიორკეცებ ტანჯვა-მწუხარებას?! რაც რამ გვებადა, სულ თქვენზე და თქვენს აზდაზე დავხარჯეთ. მუშაობა, კიდევაც რომ შეგვეძლოს—ადგილ-მამული ან გაყიდული გვაქვს და ან დაგირავებული. ერთათ ერთი იმედი თქვენ და თქვენგან მიღებული სწავლა-განათლება-ღა დაგვრჩა და ესეც ასე შეუბრალებლათ მოგვისპეთ, ხელიდან გამოგვგლიჯეთ...

—ოოხ, დედა ჩემო! ნეტავ იმ სასწავლებლებს აღარ გაგვახსენებდეთ... რა არის რომ სულ სასწავლებელი და სასწავლებლები? აღარ დაივიწყებ?!

— როგორ უნდა დავივიწყო, შვილო? კოტე დიდგულაძის შვილს სწავლა რომ არ მიეღო, მამა მისი დღეს ქუჩის მათხოვარი იქნებოდა. ივანე ვაშლაძის ოჯახი ვინ გამოგლიჯა ბანკს ხელიდან, თუ არა მისმა ნასწავლმა შვილმა? კიდევ რამდენი ვიცი მაგალითი, რომ შვილებმა წამოაყენეს წაქცეული ოჯახები...

— ეს უწინ თუ იყო, დედა ჩემო, თორემ ახლანდელი შვილი ვერც ნასწავლი და ვერც უსწავლელი მარტო თავის დღევანდელი სწავლით, განათლებით და სამსახურით წაქცეულ ოჯახს ვერ წამოაყენებს. ახლა სულ სხვა დროა. ახლა სულ სხვა საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი. და თუ ოდესმე საჭირო იყო ერთობა, შეერთებული ძლიერი ძალა და ძმური კავშირი დღეს კიდევ უფრო საჭიროა ჩვენთვის ადამიანის ამგვარი ღირსებანი. ჩვენი ამგვარი სიძულვილი და ზიზღი შკოლებისადმი თქვენ—მშობლებს ძლიერ გაკვირვებსთ, მათ სიმდაბლის მიზეზებს არ იკვლევთ და როგორც დაბალ ღობეს, ჩვენც ისე გვეპყრობით. რომელ მშობელს იამება თავის იმედის, ოჯახის მომავალი ძალის ასე სისუსტე, ასე დამცირება? ვის ესიამოვნება ამგვარათ გზადაბნეული შვილების ცქერა? არავის. მარა ახლა ზოგი ჩვენც გკითხეთ. ზოგი ჩვენგანაც მოისმინეთ. სად მიგვაბარეთ? რათ მიგვაბარეთ და გვაძლევდენ თუ არა იმას, რასაც ჩვენი გონების გაწვრთნა-განვითარება მოითხოვდა? აი კითხვები, რომლებზე მოცემული პასუხიც ნათლათ დაგარწმუნებთ ჩვენს სიმართლეში და დღევანდელ შკოლების უვარგისობაში... ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის ბრწყინვალე წამები, როდესაც გიმნაზიაში მისაღები გამოცდა გავათავე და სასწავლებელში მიმიღეს. თვითეული მშობლის გულიც იმ დროს სწორეთ ამგვარ გრძნობებით იყო სავსე და მომავალი იმედების სხივი პირის სახეს მარჯვან-დედის მსგავსათ უნათებდა. პირველათ სასწავლებელში შესვლამ სრულებით გამომცვალა, უცნაურმა სიხარულის გრძნობამ დავიწყებამდის მიმიყვანა და ჩემს გარშემო ამხანაგების მწუხარებას დამშვიდებულათ ვუცქერდი. თუმც ამხანაგის გულის ტკივილი ყოველთვის საკუთარ გულის ტკივილათ მიმაჩნდა, მაგრამ დღეს მეც მიკვირდა ჩემი გრძნობების დაჩლუნგების მიზეზები. მეც ველარ ვცნობდი ჩემს თავს ისე გამომცვალა და გადამქნა სასწავლებელში მიღების გამო აძრულმა სიხარულმა. ჩემზე ბედნიერი მაშინ აღარავინ არ მეგონა, თუმცა მე საბრალო თურმე საშინლათ ვცთებოდი... სანამ ახლოს გავიცნობდი ჩემს მომავალ ამზრდელებს, სხვადასხვა სარწმუნოების და ჯგუფის ამხანაგებს, შკოლის მიდამოს და მის ატმოსფერას—ყველა მომწონდა, ყველას ვეტრფოდი და გულწრფელათ ვევლებოდი თავზე. ყველასთვის გადაშლილი იყო ჩემი გულის სიღრმე. ყველას შეეძლო შიგ ჩაეხედა და ჩემს გულუბრყვილობაში დარწმუნებულიყო. მასწავლებელი ჩემთვის განხორციელებული ჭეშმარიტება, იდეალური პატიოსნება და ღრმა სიყვარული იყო იმ დროს. ხომ იცი, დედა ჩემო, როგორ ამზარდეთ. კლასში მიბარებამდის სულ იმას ჩამძახოდით ყურში, რომ, შვილო, მასწავლებელი მშობლების მაგიერობას გაგიწევსო... ის იქნება შენი უფროსი ამხანაგი, შენი ღრმათ მოსიყვარულე, მგრძნობიარე მეგობარიო. იმას გაუგონე, იმისგან აიღე ყველაფრის მაგალითი, ის არასოდეს არც ტყუილს იტყვის, არც უზნეობას რამეს ჩაიდენს და არც არავის დააჯაბნიებს თავის ნორჩ პატარა მეგობრების თავსაო. ყველგან თქვენი მოსარჩლე, თქვენი გონების გაწვრთნა-განვითარების მოტრფიალე, მოსიყვარულე მამა იქნება და თქვენც აქ გულწრფელათ სრულებით გულახდილათ მიეგებეთ იმათ ამგვარს თქვენზე ზრუნვა და მოღვაწეობასაო. ხომ კარგათ გახსოვს დედა ჩემო, ამგვარი თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვები, რომლებსაც შვიდ-რვა წლის განმავლობაში მუდამ ყურში ჩამძახოდით. მეც, რასაკვირველია, შევიგნე, შევისისხლხორცე ეს თქვენ-მიერ გადმოცემული მცნებანი, გადავქენ იგი ჩემს საკუთარ რწმენათ და ამ რწმენით აღჭურვილი შევედი სასწავლებელში. მერე? რა ვნახე აქ? მესედი მაინც გამართლდა შენი სიტყვები? რამეში გამომადგა მათი მაგალითის მიბაძვა, ან გამოსარჩლება? სრულებით არაფერში. არამც თუ აქ რამე შევიძინეთ, მათი მაგალითით ვისარგებლეთ გავსწორდით, გონება განვივითარეთ—არამედ სრულებით წინააღმდეგი შევიძ-

ნით. პირველათ სიცრუე, ღალატი, ენატანიობა, დაბეზღება და სიფლიდე აქ გავიგონე. მშობლიურ სიყვარულის მაგიერ სასწავლებელმა ცივი გაყინული გულმკერდი გადაგვიშალა, და მის მაგიერ, რომ სიცივის დროს თავის მშობლურ გულმკერდში ჩავეკარით და გავეთბეთ — გვერდ-გულისაგან მოგვიგლიჯა და სასწავლებლის კედლებს გარეშე შორს გადაგვტყორცნა. ისიც კარგათ მახსოვს, რომ მარიგებდი: მასწავლებელს ყველაფერი თამამათ გულ-ახდილათ სრულებით დაუფარავათ უნდა უამბო ხოლმეო. მერე გამომადგა ან ეს შენი დარიგება!? დიახ, ისე გამომადგა რომ ერთხელ ამგვარ სითამამისთვის ორი საათის სასჯელი მომცეს და თან ისიც დაუმატეს, რომ თუ ამ თამამ ლაპარაკს კიდევ გაბედავ და ენას არ დაიმოკლებ, შემდეგში კიდევ მეტ სასჯელს მიიღებო. მერე ნეტავი მეთქვა რამე მაინც: სრულებით არაფერიც არ მითქვამს. მხოლოთ ის ვკითხე, რომ ეს ლათინური და ბერძნული რა საჭიროა, ამით რათ გვილაყებთ თავს მეთქი და ფიცხლავ შემომძახა ჩაიკმიდე ენა! დიდი ყბედი იქნებიო! შენში ახლავე სჩანს მოწინააღმდეგე სულიო! დღეის იქით აღარ გაბედო მაგ გვარ კითხვების მოცემაო! ესე იგი მონა ხარ, მონურათ გზდით და შენც ნება არ გაქვს შენს საკეთილდღეოთ რაიმე იკითხოვო. მიბძანა და მეც სიტყვის შეუბრუნებლათ ჩავიკმიდე მოძრავი ენა. სად იყო მაშინ მშობლიური ტკბილი სიტყვა, გონიერი დარიგება, ალერსიანი მოპყრობა!? არსად, რადგან ჩვენი მასწავლებლები როგორც ბუნებითი მოწოდებით, ისე უცხო ტომობითი თვისებებითაც, ძლიერ შორს დგანან ჩვენგან. საერთო ჩვენში არაფერიც არ არის... წრფელი გულით და ბუნებრივის მოწოდებით არც ერთი არ ემსახურება. შეგირდი და მასწავლებელი ძვირათ იცნობენ ერთმანეთს. მასწავლებლები საჭიროთაც არა სთვლიან თავის შეგირდების ბუნება, მათი სულიერი მოთხოვნილება, აღძრულნი მისწრაფებანი გაიცნონ, შესაფერი მათი განმავითარებელი ღონის ძიება გამოძებნონ და სულიერ-ხორციელი ზრდა-განვითარება გონიერ გზაზე დააყენონ. ამგვარი მოთხოვნილებანი მათთვის სრულებით უადგილონი არიან და მეტ ბარგათაც მიაჩნიათ. და ამის შემდეგ რაღას გვერჩით, რაღათ გვისაყვედურებთ, რომ ჩვენც გულ-აგორებული ვართ სწავლაზე და არაფერ სარგებლობას არ მოველით მისგან. ამგვარათ მოწყობილი სასწავლებლები ნუ თუ ჩვენზედ უკეთეს ვინმეს მოგცემდენ... არასოდეს. ჩვენ ნამდვილი შვილები ვართ დღევანდელ შკოლებში გამეფებულ წეს-წყობილებისა — ე. ი. მონა-მორჩილებაში აზდილნი, თავის საკუთარ ინიციატივას მოკლებულნი გონება დაჩლუნგულნი, ფიზიკურათ სუსტნი, ნერვებ აშლილნი და სრულიად დაბეჩავებულნი... არის დედა ჩემო დრო, როდესაც ადამიანი ველარ შესძლებს ხანგრძლივ მძიმე უღლის სიმძიმეს. არის ისეთი წამები, როდესაც ადამიანი გამოფხიზლების გზას ადგება, ამჩნევს თავის გარშემო უფსკრულს, სადაც ერთი ფეხის გადადგმით უნდა გადაიჩეხოს, სრულიათ მოისპოს და აქ კი უცებ ფხიზლდება, ჩერდება, შიშის თავზარი თვალებს ეხელს, დედამიწის ზურგიდან მის აღგვაგაქარწყლების სურათს თვალ წინ უყენებს და მონობის ჯაჭვს თავისუფალი მოქმედებით ამსხვრევს, შორდება ამ კუნაპეტ უფსკრულს. კრულვით იხსენიებს წარსულ დროს მონობისას, ღირსების დაუფასებლობას და ადამიანის ყოველგვარ უფლებათა შებღალვისას. გამოდის თავისუფალ აზრებით აღჭურვილი და ბასრი მახვილით იმოსება მტრის საწინააღმდეგოთ. სწორეთ ასეთი ხანა დადგა დღეს ჩვენთვისაც. სასწავლებლებმა საზოგადოებისა და ჩვენს თვალში თავისი გავლენა და პატივისცემა დაკარგა. დაკარგა პატივი თავის ცივგულობით, ორპოფი მოღვაწეობით და პოლიტიკანობით. დაკარგა ერთხელ და საუკუნოთ. ჩვენ მას ამ სახით არ მივეკარებით და ის შეიძლება დიდხანს იქნეს კიდევ სახე შეუცვლელი. იმავე ხასიათით იმავე მეცნიერებით შემკულ შეიარაღებული. მაშინ ჩვენც დიდი ხნით ვეთხოვებით მის სიბრძნით აღჭურვილ ბჭეთა, მის გონების სიმწიფის წყაროს. დღევანდელმა შკოლამ დაგვიბნია ჩვენ გზა და კვალი. დღევანდელი შკოლის შემჩერე რომ არ ვყოფილიყავით კიდევ რამე გვეშველებოდა, კიდევ რამეს გაკეთება შეგვეძლებოდა, მარა ვის გავუმხელდით დღემდის ჩვენს შკოლებზედ ცუდს?! ვის შეეძლო რამე ეთქვა მათ წინააღმდეგ მათ მაკნებელ მიმართულებისა და გავლენის შესახებ?! ვიზდებოდით ამ მძიმე უღელ ქვეშ, ქედი გვქონდა მოდრეკილი მათ წინაშე, გვძვრებოდა ტყავი, ვამთავრებდით საშვალო და მაღალ სასწავლებლებს, გვქმნიდენ უსულო საგნათ, გვაქცევდენ ტიკინებათ და არა ცხოვრების ასპარეზზე ბოროტების საგმობლათ და ჭეშმარიტების საქადაგებლათ. ცხოვრების მოედანზე გამოვდიოდით სწორეთ ამგვარათ მომზადებულნი, ამგვარათ შკოლისაგან აზდილნი; არ ვიცოდით თუ „კანცელარიის“ გარეშე ადამიანს კიდევ შეეძლო ცხოვრების შესაკავებელი რაიმე სახსარი მოეპოვა და ამგვარი აზრებით გამსჭვალულნი ყველა სამსახურს ვეძებდით, ყველას „კანცელარიისაკენ“ გვქონდა მიქცეული პირი. ამ დროს ყოველი გონიერი ქართველის გული ბოლმით ივსებოდა, რომ სოფლათ უპატრონოთ

დარჩენილი, მამა-პაპათა სისხლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი დღითი დღე ხელიდან გვშორდებოდა და სხვების ხელში გადადიოდა.

ახლა კი დრო შეიცვალა, დედა ჩემო! ჩვენდა საბედნიეროთ სამსახურში დაწინაურება ჩვენ აღარ გვეძლევა. ან სულ არ გვაძლევენ და სადაც გვაძლევენ—იქაც დაბალს, სრულებით უმნიშვნელო და მცირე ჯამაგირიან ადგილებს თუ გვითმობენ... ახლა მეტი რაღა დაგვრჩენია. სამსახურს სამუდამოთ თავი უნდა დავუკრათ... ნამდვილ ცხოვრებისათვის უნდა მოვემზადოთ და ამისათვის კი ცოდნაა საჭირო. ცოდნა, რომელსაც დღევანდელი შკოლები სრულებით ვერ გვაძლევენ.. ეს ნაკლი მხოლოთ ევროპის განათლებულმა ქვეყნებმა უნდა შეგვივსოს.

იქ მიღებული სწავლა-მეცნიერებით უნდა აღვიჭურვოთ, და ისევ ჩვენს მამაპაპეულ მიწაწყალში ჩავღვაროთ, ჩავაკეთილთესლოთ ეს ცოდნა, ამოვუდგეთ გვერდში მშრომელ ხალხს, ვიყოთ მისი თანამგრძნობნი და მის მწუხარება—სიხარულით ერთათ ვიმწუხარ-ვიმხიარულოთ...

— არასოდეს! მაგ არასდროს არ იქნება, და ნურც მიქადაგებ მაგგვარ ხეპრულ აზრებს!! —უცებ წამოიძახა კოწიას მამამ, ამირინდო ძველიაშვილმა და გაჯავრებული ზეზე წამოდგა..

— რა, მამა ჩემო, რა არ შეიძლება? კითხა კოწიამ.

— რა და ახლა რომ რაღაცეები მიჰქარე.

— რა ვსთქვი მამა, შეუძლებელი. მე იმისთანას არას ვიტყვი, რაც არ შეიძლება. აბა მითხარ, რა არ შეიძლება?!

— რა და გლეხების გვერდში ამოდგომა, მათთან გათანასწორება. მამაპაპათაგან სისხლით მოპოვებულ ღირსების ახდა...

— მერე? ვინ მართმევს მამაჩემო, ღირსებას? ყოველ ადამიანს თავისი პატიოსნური მოქმედება ანიჭებს ღირსებას... პირადი ღირსება ყოველთვის მაღლა იდგა და დღეს უმეტესათ კიდევ უფრო მაღლა სდგას შთამომავლობით გადმოცემულ ღირსებაზე... მაშ რათ აფასებ აი შენს ღირსებას მეტათ და ამცირებ გლეხის ღირსებას ასე დაუმსახურებლათ! ჯერ ფუტკარს შეხედე, მის ცხოვრებას დაუკვირდი და იქაც კი შეამჩნევ შრომის ღირსებას, მშრომელი ფუტკრების პატივისცემას, დიდებას და მოქმედებას... იქ ნათლათ დაინახავ მუქთახორას რა ბედი ეწევა ხოლმე. რა დღეს აყენებენ მღვა ფუტკრები. დაუკვირდი, შეადარე შენი თავი და მითხარი: ნუთუ მეტი ღირსება მიტომ გაქვს, რომ დღე და ღამ არაფერს აკეთებ, მშრომელი ხალხის ნაოფლარით ძღები, იკვებები და შემთხვევის დროს შენს ტოლათ, შენივე მსგავსადაც აღარ სცნობ?! ნუთუ ეს არის მოყვასის სიყვარული?! ნუთუ შენთან ერთათ ისიც „მსგავსათ და სახეთ ღვთისა“ არ არის გაჩენილი?! არა, მამა, შემცთარი ხარ და დროა გამოირეკო თავიდან ეს ძველი, დახავსებული აზრები?!

— ჩემს გადაქმნის და გასწორების მაგიერათ უმჯობესია თვითონ შენ გასწორდე, ენა დაიმოკლო თორემა მამა მიცხონდება მე შენ კარგა ლაზათიანათ მიგჯოხო!. შეუყვირა ამირინდომ და ხელით შეხებაც დაუპირა. ვინ მიბედავს ამას!! ვის ეკადრება შენგან ჭკუის დარიგება?! გადი, გადი! მომშორდი! არ გნახო ჩემს გლეხებში!... არ დაგინახო ჩემს ოჯახში?! ამდენი ხარჯი ხომ წყალში ჩამიყარე!... ღმერთი გკითხავს ამის მაგიერ! იცოდე, რომ ამირინდო ძველაშვილი ყველგან კაცი იქნება! სანამ სული ედგმის ღირსებას ხელმწიფის მეტი ვერავინ ახდის, ვერავინ წაართმევს. შენ კი გირჩევ შენი ახალი მცნებით სადაც გინდა იქ წაეთრიე!...

— წადი... მომშორდი... მეტი აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა...

უცებ მათ შორის სიჩუმე ჩამოვარდა. დიდხანს შეჩერებოდენ ერთმანეთს გაჯავრებული მამა და უკმაყოფილო შვილი. მარტო სახის გამომეტყველებით ლაპარაკობდენ.

— ოოხ, საბრალონო! როდის-ღა გამოფხიზლდებით! როდის იქნება, რომ თქვენს დაობებულ ტვინს სინათლის გამათბობელი სხივი მოეფინება და ეგ ტრადიციული აზრებით გაყინული გონება ცოტა მაინც შეგილღვებათ. როდის იქნება. რომ...

—კიდევ არ იშლი, შე ლაწირაკო შენა!—გააწყვეტია ამირინდომ ლაპარაკი. კიდევ შენსას ყბედობ! მაშ, ახლა მე ვიცი რაც გეკადრება! შეყვირა და გამხეცებული გაექანა შვილისკენ. ის იყო უნდა მივარდნოდა, ხელი ეტაკა და დაუზოგველათ ფანჯრიდან შორს ეტყორცნა, რომ კოწიამ მოასწრო, დედის კივილზე უცებ გაღებულ კარებში თავშიშველი მსწრაფლ გამოვარდა...

— დიახ, წავიდა... ამის შემდეგ კოწიას თავისი დედ-მამა აღარ უნახავს... ის საუკუნოთ მოშორდა მშობლურ ოჯახს, ამზდელ კერას და სიკვდილზე მიმდგარ დედის გრძნობით სავსე მოსიყვარულე გულ-მკერდს. დღევანდელი მოძრაობით გატაცებული მტლეთ დაედო მოძმის სიყვარულს და უდროო სხვერპლათ შეეწირა მის ადამიანურ უფლებათა დაცვას...

თარხანი,

ქ. ქუთაისი 1905 წ.

წერილი ეშმაკისა.

ამხანაგებო!

ნუ დარჩება ხმა ჩემი, ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა-შინა. უსმინეთ სიტყვათა ჩემთა სმენათა თქვენთა კორპორაციითა სრულითა. რათა საბოლოოთ აიგოს ანდერძი გვამთა მათ თქვენ მიერ საცინელათ აღებულთა: დიდებულსა დიდიმსა ჩიკვაიძესა, და ძმათა მათთა ქუთაისის კადეტ-ფედერალისტთა ჯგუფისასა, განიმეტეთ ჟამ-ენერგია თქვენი და მომივლინეთ მე ,,ეშმაკისა მათრახსა'' მჯდომარესა საყვარელი **ფართრეთი** სულიერისა ძმისა ჩემისა **დიდიმისა**, ვაჭარისა მის **ყორყოლაძისა**, თავადისა **მელიტონისა** და სხვათა მაგვართა მისთა, რათა ორგანოსა ჩემსა შიგან ვიქონიო შესაფერი მსჯავრი პიროვნებათა მათთა შესახებ და მივუსაჯო მათ ღირსებისა მათისა მიხედვით წვეროვნითა მათრახისა ჩემისა.

აწცა გვევედრებით მოვლინებას ფართრეთისა დავით ნიჟარაძისასა და სხვათა და სხვათა საქართველოისა ქვეწარმავალთა, რომელთა თავხედობასა არა აქვს დასასრულ.

სრულისა იმედითა შთენილი

ეშმაკი.

არჩევნები ბათუმში.

ოცდა ცხრა ენკენისთვეს მოხდა ქ. ბათუმის ამრჩეველთა არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონდა სულ 2065 კაცს. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებია წასულ არჩევნების რიცხვთან შედარებით, მარა რა გასაკვირველია: ჯერ ხომ ახალმა საარჩევნო კანონმა რამდენ მოქალაქეს წაართვა ხმის უფლება, გარდა ამისა, იმ მცირე რიცხვსაც კი, ვისაც კანონით ხმის უფლება ქონდა, არ უსარგებლია ამ უფლებით და არ ცდილა ხმა არ დაეკარგა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ქალაქის თვით-მართველობასაც დიდათ არ აუტკენია თავი ყველა უფლებიან მოქალაქეთა სიაში შესატანათ. სიაში შეტანილთაგანაც ბევრი არ გამოცხადებულა არჩევნებზე: 2065 ამრჩეველთაგან სულ გამოცხადდა 434 კაცი. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ წლევანდელმა არჩევნებმა ერთობ უფერულად ჩაიარა. სად იყო ის აღტაცება, ის სიცოცხლე პოლიტიკური, რომელიც წასულ ორ არჩევნებს ეტყობოდა. წელს საარჩევნო დარბაზთან, თუ შიგ არ შეხვიდოდი, ისე ვერც შეატყობდი, თუ იქ რამე საყურადღებო საქმე ხდებოდა. სად გაქრა ის ინტერესი, ის სიხალისე, რომელიც თან ახლდა პირველ ორ არჩევნებს? ნუ თუ ასე მალე მოსწყინდა ჩვენს მოქალაქეებს პარლამენტარული წესით ბრძოლა! ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს რომ კითხოთ, არჩევნებისადმი ასეთ გულ-გრილობას ხალხის რევოლუციონური სულის კვეთების ზდით აგიხსნიან და შეიძლება ბოიკოტის საჭიროებაზედაც კი მიგითითონ, მარა ასეთი გამოკვლევა ჩვენ მათთვისვე დაგვილოცნია. როგორც გაზეთებმა უკვე გვაუწყეს არჩეულ იქნენ თითქმის ერთხმათ აქიმი შატილოვი, კ. გოგოლაძე და ფ. კიკავა. პირველმა მიიღო 408 ხმა, ხოლო მეორე და მესამე 405—თითომ. დანარჩენ ხმებში 19 ხმა გაფუჭებულ იქნა, ხოლო შვიდი ხმა თანასწორათ გაიყვეს შვიდთა ძმათა ბათუმელთა. ესენი არიან: ბ. ბ. ანდრონიკოვი, ქურული, ელიავა, მხეიძე, ტერტეროვი, ტერ-სტეფანოვი და ისკევიჩი. გაფუჭებულ ხმებში საინტერესო იყო ორი ბიულეტენი, რომლებიც ამრჩევლებათ ასახელებდენ პლეხანოვს, ბებელს და ჟორდანიას. ჩვენ კარგათ ვიცით საიდანაც იყო ეს ჩადენილი (ბიულეტენები რემინგტონზე იყო დაბეჭდილი), მარა ყურადღების ღირსათ არა ვსთვლით. ვიტყვით მხოლოთ, რომ ასეთი საქციელი უფრო ამტკიცებს მათი ავტორების ფუქსავატობას და უძლურ ბოროტებას (злобное безсиліе), ვინემ ღრმა პოლიტიკურ სიმწიფეს; ნუ დაავიწყდებათ ამ ვაჟბატონებს, რომ ბებელი (სხვაზედ არას ვიტყვით) ყოველ შემთხვევაში მათებური ბოიკოტის და არც ასეთი ლაზღანდარა პოლიტიკოსების ნაყოფი მაინც არ არის.

ზევარიკე.

P. S. მთავრობა შეუდგა იმის გამოძიებას, თუ რომელ ნაციას ეკუთვნის ამრჩევლათ (ვიბორშჩიკათ) არჩეული ბ. შატილოვი. როგორც გავიგეთ ბ. შატილოვს შეკითხვის დროს განუცხადებია, რომ ის თავის თავს თვლის ქართველათ, თუმცა მისი წინაპრები (ბაბუა) რუსებათ ითვლებოდენ. ალბათ განზრახვა აქვთ ბ. შატილოვის არჩევა უკანონოთ გამოაცხადონ და უფლება დაუკარგონ. მარა სად ბძანდებოდენ მაშინ, როცა შატილოვი ამრჩეველთა სიაში ნახეს პირველათ? რაღა მაშინ დასჭირდათ მისი ვინაობის გაგება, როცა ის ვიბორშჩიკათ იქნა არჩეული? მიზანი აშკარაა.

ზევარიკე.

სოფლის ამბები.

ტყიბული. თუ ერთ დროს ოკრიბაშიაც შეიჭრა გამათავისუფლებელ მოძრაობის ბრწყინვალე სხივი და ხალხი გამოაცოცხლა, დღეს მისგან იოტის ნატამალიც აღარ დარჩენილა. ხალხი სალდათს მილს მისცემია... ხულიგან-ჯაშუშთა რაზმი გამრავლდა და ვისიც ჯერ არს ხულიგანთა ორგანიზაციებიც კი მოაწყო. ორგანიზაციები შესდგებიან ათისთავებისაგან; ისინი აარჩევიეს გლეხებს მოტყუილებით; ახლა გლეხები, მათი თავგასულობით ძალზე შეწუხებულნი, მწარე ცრემლებით სტირიან. ამ ვაჟბატონებისგან დღეს მთელ ოკრი-

ბას სიტოტსლე აქვს გამწარებული. პოლიციის საშჯელებით ისინი იტჯრეს, ვისაც კერძო ჯავრი სტჯირთ, ან და მათი აზრი არ მოსწონ ისედაც ძალზედ გაღარიბებულ ხალხს, რომელსაც წელს შიმშილიც კი მოელის, ასალ-ასალ მოთხოვნილება-გადასახადებს სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციით ემუქრებიან. ამას წინათ ბოქაულმა დაიარა ოვეის სიბოქაულო დარაჯოს რაზმით და გლეხებს მოსთხოვა 1) ექვს-ექვსი სტრაყნიკის დაქირავება მათი სარჯით, 2) ძველი და ახალი გადასახადების გადება და 3) იარაღების მიცემა. იარაღები აქეთ, ალბისახოვის დროს აკრიბეს და ნეტავ რომელ ან სადაურ იარაღს თხოულობენ?!. პირველი მოთხოვნილების შესახებ გლეხებმა ოთხელვან ციკი უარი გახუტსადეს ბოქაულს; ხოლო დახარჩენებზე დათანხმდენ.

ი, ამ გადასახადების და იარაღების აკრეფაში სწორეთ რომ თავი ისახელეს და კიდევ გადაჭარბეს სტრაყნიკებს ითისთავებმა. ორა ერთი და ორი მაგალითი იყო, რომ ითისთავები გაღარიბებულ გლეხის ქოხიდან უსაჭიროეს სახმარ ნივთებს მიეზიდებოდენ; ხოლო იარაღისათვის კი, ორა ერთს და ორს აუწიოკეს ოჯახი. უველაზე მეტათ თავი ისახელა სულიგანური მოქმედებით ადამ ქასრაშვილმა, წინათ ცნობილმა მაგრაზმელმა. ამგვარი მოქმედებით ოკრიბელ სულიერ „მამებმაც“ ისარგებლეს და ბოქაულს მიმართეს, დრამის ფული მოგვიკრიფეო. ბოქაულმაც შესაფერი ზომები მიიღო და ხალხს დრამა მოსთხოვა... ითისთავებიც, სხვა ბატონ-პატრონებთან ერთათ, შეუდგენ საქმესა მას საგმირონსა და ისედაც გამოხაბაკებულ გლეხის ქოხიდან მიაქვთ, რაც კი სელში მოხვდებათ. ვნახოთ, სახანდე მიაღწევს ამ სულიგანურ ორგანიზაციების თავგასულობა.

დემონი.



წერილი რედაქციის მიმართ.

გაზ. „ისრის“ 144-ში მოთავსებული იყო წერილი დიდი ჯიხაიშიდან ჩემი სამედიატორო სამართალში გამოწვევის შესახებ. ი დაწვრილებით საქმის სინამდვილე: დიდი-ჯიხაიშელმა მღ. მამა სამსონ დევიძემ და ამხანაგობამ მისმა ნემსაძემ და ლორთქიფანიძემ გამომიწვიეს სამედიატორო სამართალში ჩემი აფთიაქის გაყიდვის შესახებ. ბე, რასაკვირველია, თანახმა გავუხდი და კიდევაც ვთხოვე მათ აერჩიათ მედიატორები თანახმათ მათი წერილობითი პირობისა. დასამტკიცებლათ ამისა მომყავს ჩემი მოპირდაპირეების წერილიდან ის სიტყვები, რომლითაც ისინი მიწვევდენ სამედიატორო სამართალში. გაზ. „ისრის 144-ში სწერენ ისინი: „ჩვენ, არჩეულნი პირნი, ვთხოვთ ბ. ჩომახიძეს გამოგვყვეს სამართალში, თუ ამაზე ბ. ჩომახიძე თანახმა იქნება, ჩვენ ავირჩევთ ორ მედიატორს, ორი მან აირჩიოს, ხოლო ამ ოთხმა თავმჯდომარეთ მეხუთე აირჩიოსო“. ამაზე მე მივეცი შემდეგი პასუხი, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზ. „ისრის“ № 154-ში და რომელიც მომყავს შეუცვლელათ: „ჩემ მიერ მიცემულ პირობის შესახებ ვაცხადებ, რომ, როდესაც ფული მომიტანეს, მე არც მაშინ მითქვამს უარი და არც ახლა ვლაპარაკობ და მტკიცეთ ვადგივარ ჩემს პირობას, მხოლოთ ხალხი არ შეწუხდეს და ხალხის სურვილი იყოს. თუ აუცილებელ საჭიროებათ სთვლიან ჩემი მოპირდაპირენი სამედიატორო სამართალს, მეც თანახმა ვარ, აირჩიონ მათ მედიატორები და მეც შემდეგ დავასახელებ ჩემს მედიატორებს“. ამის შემდეგ მე ყოველ დღე ველოდი მათი მხრით მედიატორეების დასახელებას, თანახმათ მოცემული სიტყვისა და წერილისა, მაგრამ ყოველ ... ჩემი გაცრუდა. ნაცვლათ მედიატორეების დანიშვნისა, წარბშეუხრელათ სულიერ მამამ და კომპანიამ მისმა მიძღვნეს გაზ „ისრის“ № 177-ში წერილი, რომელიც სავსებით დამყარებულია სიცრუესა და სრულ ცილის წამებაზე. დასამტკიცებლათ ამისა მომყავს ამ წერილის ზოგიერთი სიყალბის მინუშები. გაზ. „ისრის“ № 177-ში სწერენ ჩემი მოპირდაპირეები: „ბ-ნ ჩომახიძეს ვიწვევთ სამედიატორო სამართალში და ვთხოვთ, თუ თანახმა იქნება, დასახელოს მედიატორენი თავის მხრითო“. ი სწორეთ ამ სიტყვებში არის აღებეტდილი მაგათი სიცრუე და ურცხვი ცილის წამება. ამისთვის ვთხოვ მკითხველ საზოგადოებას, გადაავლოს თვალი ზემორე ჩამოწერილ მაგათ წერილს გაზ. „ისრის“ № 144-ში, რომლ-დან ნათლათ დაინახავს სულიერ მამის და მისი ამხანაგების ცილის წამების გზაზე დადგომას და სამედიატორო სამართლის გზიდან გადადგომას. მეორე უფრო მეტი სიყალბე და საზიზღარი ცილის წამება, რომელიც იკადრეს გაზ. „ისრის“ № 177-ში ის არის, ვითომც მე დანოსი დამეწეროს და მიმეცეს სამტრედიის ბოქაულისათვის და ვითომც სისხლის სამართალში მიმეცეს ყველა არჩეული პირები!! ნუ თუ ამ სიტყვების დაწერის შემდეგ არ უდალატია სულიერ მწყემსს და მის ამხანაგებს კაცთ-ძაყვარეობისა და სიბარებისათვის?!! ჩემს მოპირდაპირეებს ავიწყდებათ, რომ ეს ხალხის სურვილი საებრ მივეცი ბოქაულს განცხადება და არა დანოსი, რადგანაც ადგილობრივი ადმინისტრაცია, მამასახლისი და მისი პომოშნიკები ძალდატანებით ახდევ ნებდენ ჩემი აფთიაქის ფასს სოფლის გლეხებს იმ დროს, როდესაც საწყალ გლეხს ცოლშვილის გამოკვების საშვალებაც არსაიდან არ მოეძებნებოდა“. ი სწორეთ ამ დროს მივეცი ეს განცხადება ბოქაულს და ვთხოვე, მოეხდინა საზოგადოების ყრილობა და შეკითხულ ურდათ თუ სურა ჩემი აფთიაქის ყიდვა, რადგანაც მინდოდა საზოგადოების წინაშე პირნათლათ ვყოფილიყავ. ეს იყო და ეს. ჩემს მოპირდაპირეებს მიუყვიათ ხელი ცილის წამებისათვის და გონიათ ამით ფონს გავლენ. ახლა ვთვლი აუცილებელ საჭიროებათ ავუხსნა მკითხველ საზოგადოებას, თუ რათ დასჭირდათ მათ ამდენი ცილის წამება და სიცრუე; წარსულ მარიობისთვის 13-ს მათ ხონის სასამართლოში მიჩივლეს ჯარიმა—ნეუსტოიკა 2.000 მან. ორი დღით წინეთ კი „ისარში“ გაგზავნეს ის წერილი, რომელიც მე გაგაცანით და რომელიც არის დაწერილი მხოლოთ სამედიატორო სამართლის გვერდის ასახვევათ. ასეთი ცილის წ.მებით და ხრიკებით შემზადებული წერილი იხმარეს სამედიატორო სამართლის გასაუქმებლათ და ამავე დროს გაიკეთეს გზა სასამართლოს კარებისაკენ ნეუსტოიკის მისაღებათ. მაგრამ მოსტყუვდენ ანგარიშში—ამ საშვალებით ისინი ვერც თავს იმართლებენ მკითხველ საზოგადოების წინაშე და მგონი ნეუსტოიკაც ვერ მიიღონ. თურმე დიდი-ჯიხაიშელი მღ. მამა სამსონი და ამხანაგობა მისი ორი ათას მან. ნეუსტოიკას ეტრფოდენ და მე კი სამედიატორო სამართალში ყასიდათ მიწვევდენ!.

დიდი-ჯიხაიშის მეაფთიაქე ბესარიონ ჩომახიძე.

1907 წ. 20 ენკენისთვეს.

„ცისკრის“ ფოსტა.

ფოთში. ციცუნიას. თქვენი წერილი არჩევნების შესახებ არ დაიბეჭდება, რადგან ხანი გავიდა და ინტერესი დაეკარგა. იმედია, სხვა ამბებს მოგვაწვდით.

ბათუმში. ვ. ჩახრუხაძეს. დაიბეჭდება.

ჭიათურაში. ალს. თქვენი ცნობები არ დაიბეჭდება, რადგან თქვენი ვინაობა არ ვიცით.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოხრეიძე.

ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა ქუთაისში.